

# თბილისის უნივერსიტეტი

1927 წლიდან

12 ნოემბერი, 2024



№ 6 [ 2254 ]



## შეხვედრა სტუდენტებთან

ვინ არიან NASA-ს ჰაკატონის საქართველოს მასშტაბით გამარჯვებული სტუდენტები?

6 გვ.

## რექტორის ინიციატივა


## თსუ-ს 150 ასისტენტი (ახალგაზრდა მეცნიერი) შეემატება

3 გვ.



## ახალი ჯილდო

თსუ-ს კურსდამთავრებულს მათემატიკურ ფიზიკაში 2025 წლის ჰენემანის პრემია მიენიჭა



4 გვ.



თსუ-ს ხანდაზმული თანამშრომლები ღირსეულად გააცილა

## „უნივერსიტეტის კარი თქვენთვის ყოველთვის ღია იქნება“

თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ თსუ-ს კანცლერთან, ლაშა საღინაძესთან ერთად უნივერსიტეტის ღვანლმოსილი თანამშრომლები მედლით დააჯილდოვა. რექტორმა მათ მადლობის სიგელები და სამახსოვრო საჩუქრებიც გადასცა.

13 გვ.

## გამარჯვებული პროექტების 43.6% თსუ-ს დოქტორანტებისაა

3 გვ.



## თსუ-ს ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის ახალი შეთავაზებები სტუდენტებს

- ცენტრი ახალი სემესტრიდან მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას გეგმავს.
- ცენტრის ხელმძღვანელი პავლე ჯაგუნავა აპირებს დრონების ლაბორატორიის სრულ განახლებას.

7 გვ.



## სტუდენტური ფურცელი

5-12 გვ.



დონალდ რეიფილდი: „მიხარია, რომ ქართველოლოგიაში ბრილიანტი თაობა მოდის“.

2 გვ.



## „ტრანსფორმაციის კვლევების ევროპული ჟურნალი“ თსუ-ს სახელით გამოიცემა

4 გვ.



მედეა ლამბაშიძე  
MEDEA HAMBACHIDZE  
MEDEA GHAMBASHIDZE

პირველი ქართული უნივერსიტეტის პირველ სტუდენტზე წიგნი-ალბომი გამოიცა

12 გვ.



# ქრონიკა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია ევრაზიის უნივერსიტეტთა კავშირის (EURAS) გენერალურ ასამბლეაზე მმართველი საბჭოს წევრად აირჩიეს. EURAS-ის აღმასრულებელი საბჭოს ახალი შემადგენლობა ევრაზიის რეგიონის 18 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი პირებისგან დაკომპლექტდა.



EURAS არაკომერციული საერთაშორისო ასოციაციაა, რომელიც 2008 წელს დაარსდა და აერთიანებს 110-ზე მეტ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას დასავლეთ და ცენტრალური ევროპიდან, ბალკანეთიდან, კავკასიიდან, ახლო აღმოსავლეთიდან და აზიიდან. ევრაზიის რეგიონის უნივერსიტეტებისთვის საერთაშორისო საგანმანათლებლო პლატფორმის შექმნით EURAS ემსახურება თავის წევრებს, რათა გაიზიარონ უმაღლესი განათლების სფეროში არსებული საუკეთესო სერვისები და განავითარონ განათლების სტანდარტები გლობალური წინსვლისთვის.

EURAS, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი უმაღლესი განათლების ასოციაცია, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა ეკონომიკური და კულტურული კუთვნილების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ხელს უწყობს მათ შორის დიალოგსა და თანამშრომლობის გაძლიერებას.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ CERN-ის 70 წლის-თავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ღონისძიების ფარგლებში CERN-ის დელეგაციასთან სამუშაო შეხვედრა გამართა.



როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ჯაბა სამუშიამ აღნიშნა, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ბოლო 30 წლის განმავლობაში, CERN-თან თანამშრომლობა და თსუ მეცნიერების ჩართულობა დიდი ადრონული კოლაიდერის ექსპერიმენტებში ერთ-ერთ ყველაზე დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი ქვეყნისთვის.

შეხვედრაზე CERN-ის დიდი ადრონული კოლაიდერის ორი დიდი ექსპერიმენტის ATLAS და CMS ფიზიკოსთა ჯგუფის წევრებმა ქართველ კოლეგებთან ერთად თანამშრომლობის შედეგები შეაჯამეს და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები დაგვემეს.

ამჟამად ცერნში აქტიურად მიმდინარეობს ახალი პროექტის მომავალი წრიული კოლაიდერის, (FCC) პროექტის განხილვა. თსუ გეგმავს შეუერთდეს სამუშაოებს აღნიშნული პროექტის ფარგლებში და მოანეროს ხელი ურთიერთგაგების მემორანდუმს FCC პროექტთან თანამშრომლობაზე. ეს მემორანდუმი ქართველ სტუდენტებს და ახალგაზრდა მეცნიერებს მისცემს საშუალებას – აქტიურად იყვნენ ჩართული თანამედროვე კვლევებში.

\*\*\*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სასწავლო ვიზიტით ჰონგ-კონგის უნივერსიტეტის დიპლომის მიმნიჭებელი პროფესორული პროგრამის დელეგაცია ეწვია. ოცდასამკაციან დელეგაციას თსუ-ს ვიცე-რექტორმა ერეკლე ასახიშვილმა უმასპინძლა.

ჰონგ-კონგის უნივერსიტეტის წარმომადგენლები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ სასწავლო პროგრამებს, უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკასა და საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტებს გაეცნენ. საუბარი ორ უნივერსიტეტს შორის არსებული ურთიერთობის განვითარების შესახებ და ახალი მიმართულებებით კონტაქტების დამყარების შესაძლებლობებს შეეხო.



ნამშრომლობის პრიორიტეტებს გაეცნენ. საუბარი ორ უნივერსიტეტს შორის არსებული ურთიერთობის განვითარებასა და ახალი მიმართულებებით კონტაქტების დამყარების შესაძლებლობებს შეეხო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა ჰონგ-კონგელი სტუმრებისთვის წაიკითხეს ლექციები საქართველოს ისტორიის, პოლიტიკური მდგომარეობის, უსაფრთხოებისა და გეოპოლიტიკის, ასევე, საქართველოში არსებული ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს თემატიკაზე.

\*\*\*

გლობალიზაციის თანამედროვე აქტუალური საკითხები და მისი გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე, გლობალიზაციის პროცესის სწორად წარმართვა, ეროვნულ სახელმწიფოსა და ეკონომიკაზე გავლენის პოზიტიური და ნეგატიური მხარეები, გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში საქართველოს ადგილისა და როლის განსაზღვრა, ეკონომიკური პროცესების განვითარების შესაძლო სცენარები – ამ თემებზე მიმდინარეობდა მსჯელობა IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე: „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა. კონფერენცია ორგანიზებული იყო თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ. კონფერენციის სამეცნიერო თემატიკის მიხედვით წარმოდგენილი იყო 14 სექცია და 60-მდე სამეცნიერო მოხსენება.

თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის გიორგი ლაღანიძის თქმით, კონფერენციაზე აქცენტი გაკეთდა იმ თემებზე, რაც წელს მსოფლიო ეკონომიკაში ყველაზე მნიშვნელოვანია. „ამ რთულ, ტურბულენტურ ეკონომიკურ გარემოში ჩვენ ვცდილობთ – მოვძებნოთ ახალი გზები და მიდგომები იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა განვითარდეს და მის ეკონომიკას ჰქონდეს საკმარისი სტიმული შემდგომი განვითარებისათვის. დღევანდელი კონფერენცია ნათლად ადასტურებს, რომ თსუ-ს პროფესურა აქტიურად ცდილობს შეისწავლოს ის სირთულეები და საერთაშორისო გამოწვევები, რაც ქართული ეკონომიკის წინაშე დგას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კონფერენცია საერთაშორისოა და მას ქართველ მეცნიერებთან ერთად ესწრებიან მეცნიერები სხვადასხვა ქვეყნიდან“, – განაცხადა პროფესორმა გიორგი ლაღანიძემ.



\*\*\*

Erasmus+-ის ფარგლებში 29 და 31 ოქტომბერს ინსტიტუტს ეწვია ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (ვენა, ავსტრია) პროფესორი იშტვან პერცელი. მან წაიკითხა მოხსენებები: „Pseudo-Dionysius the Areopagite: Origenist Metaphysics and Antiochian Christology“ – ფსევდო-დიონისე არეოპაგელი: ორიგენისტული მეტაფიზიკა და ანტიოქიური ქრისტოლოგია; „The Place of Ioanne Petritsi in Byzantine Philosophy“ – იოანე პეტრიტის ადგილი ბიზანტიურ ფილოსოფიაში.

4 ნოემბერს სტუდენტებისთვის გაიმართა ბერძნული ენის კითხვის სემინარი, რომელზეც განიხილეს



ფსევდო-დიონისე არეოპაგელის და დიდიმოს ბრმის ტექსტები.

მოხსენებები და სემინარი ჩატარდა ჩვენი ინსტიტუტის კლასიკური, ბიზანტიური და ახალი ბერძნული ფილოლოგიის მიმართულებით სემინარების, მოხსენებებისა და პრეზენტაციების ციკლის „აგორას“ ფარგლებში.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 11-13 ოქტომბერს, სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ახალგაზრდა მეცნიერთა VI საერთაშორისო ინტერ-დისციპლინური სიმპოზიუმი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. სიმპოზიუმში – „ქართველოლოგიური კვლევები: ისტორია, თანამედროვეობა, პერსპექტივები“ – ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის სპეციალისტები გერმანიიდან, აშშ-დან, საფრანგეთიდან, იაპონიიდან, შვეიცარიიდან, ნიდერლანდების სამეფოდან.



სიმპოზიუმის მონაწილეებს მიესალმა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი დარეჯან თვალთვაძე, რომელმაც სამეცნიერო ფორუმში ჩართულობისთვის მადლობა გადაუხადა ახალგაზრდა მეცნიერებს: „ამ სიმპოზიუმს ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ბევრი კონფერენცია და სიმპოზიუმი იმართება უნივერსიტეტში, მაგრამ ეს გამორჩეულია იმიტომ, რომ ფოკუსირებულია მომავალზე, ახალგაზრდა მეცნიერებზე, დოქტორანტებზე, იმ ხალხზე, ვინც ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს მეცნიერებაში. სიმპოზიუმზე კიდევ ერთხელ გაესმება ხაზი თაობათა კავშირს, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია მეცნიერებაში. მისი სახელწოდებაც – „ქართველოლოგიური კვლევები: ისტორია, თანამედროვეობა და პერსპექტივები“ – სწორედ ამაზეა გათვლილი, რომ ჩვენ საიდანადაც მოვივიაროთ, სადაც ვართ და აუცილებლად წავალთ წინ“, – აღნიშნა დარეჯან თვალთვაძემ.

გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის კავკასიოლოგიის კათედრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მანანა თანდაშვილმა მისასალმებელ სიტყვაში თაობათა შორის კავშირების აუცილებლობასა და ახალგაზრდა მეცნიერთა სამკვლევრო გამოცდილების დაგროვების მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ფრანკფურტის უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის 20-წლიანი თანამშრომლობა ქართველოლოგიის დარგში ამ გამოცდილებისა და საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობების განმტკიცების კარგი მაგალითია. „გასულ წელს ფრანკფურტში ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი კავკასიოლოგიაში. ამ სიმპოზიუმზე 11 ქართველი დოქტორანტი მონაწილეობდა. სწორედ მათზე თქვა ცნობილმა მეცნიერმა დონალდ რეიფილდმა: „მიხარია, რომ ქართველოლოგიაში ბრილიანტი თაობა მოდის“.

თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

# გამარჯვებული პროექტების 43.6% თსუ-ს დოქტორანტებისაა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში ტრადიციულად ლიდერობენ. 2024 წლის კონკურსში გამარჯვებული 39 პროექტიდან 17 პროექტი (გამარჯვებული პროექტების 43.6%) თსუ-ს დოქტორანტებს ეკუთვნით.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტების დაფინანსების კონკურსში პროექტები წარდგენილი იყო ყველა სამეცნიერო მიმართულებაში: ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ინჟინერია და ტექნოლოგიები, სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები, აგრარული მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები, სოციალური მეცნიერებები, საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები.

დოქტორანტთა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მხარდაჭერა მოიცავს: ა) სტიპენდიას, ბ) სასწავლო და კვლევითი პროცესის ტექნიკური აღჭურვის, ლაბორატორიული საშუალებების ან/და საველე სამუშაოების ხარჯს, გ) პროექტის მიზნებისათვის დისერტაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში (კონფერენცია, კონგრესი, ვორკშოპი, სემინარი და სხვა) მონაწილეობის ხარჯს, დ) დისერტაციის მიზნებისათვის დისერტაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით უცხოეთში კვლევითი ვიზიტის ხარჯებს და ე) სასწავლო და კვლევითი პროცესისათვის საჭირო სხვა ხარჯებს – მაგალითად: დოქტორანტურაში სწავ-



ლის საფასურს, ბეჭდური/ელექტრონული ლიტერატურის და კომპიუტერული პროგრამის შეძენის ხარჯს, პუბლიკაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ ხარჯს და სხვ.

ფონდის პირობების თანახმად, გრანტის მიმღები ვალდებულია – პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგები მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატიის სახით გამოაქვეყნოს საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში, ან წარმოადგინოს ცნობა ასეთი სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ. საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემად ფონდის მიერ განიხილება ის რეიტინგული ჟურნალები, კრებულები და წიგნები, რომლებიც ინდექსირებულია Scimago Journal Ranking რეიტინგში ან/და Elsevier (Scopus და ScienceDirect), Web of Science, ERIH plus ბაზებში.

**ჯაბა სამუშია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტებს შეხვდა**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია დოქტორანტურის საგანმანათლებ-



ლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტებს შეხვდა და საუნივერსიტეტო საჩუქრები გადასცა.

შეხვედრაზე გამარჯვებულმა დოქტორანტებმა საკუთარი საგრანტო პროექტების მიზნებზე ისაუბრეს. თსუ-ს რექტორის ჯაბა სამუშიას თქმით, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსში გამარჯვება ერთ-ერთი პირველი წარმატებაა იმ ახალგაზრდების, რომლებმაც დიდი მეცნიერება უნდა შექმნან. „ხვალ ეს ადამიანები იმუშავებენ დიდ პროექტებზე, ფუნდა-


მენტურ თუ გამოყენებით კვლევებზე. ყველა საგრანტო პროექტს გავეცანი და ძალიან საინტერესო თემებია. თსუ-ში ახალგაზრდა მეცნიერებისთვის გამოცხადდება ასისტენტის პოზიცია, სადაც დოქტორანტებს შეეძლება მონაწილეობის მიღება. ეს პროექტი დაგეხმარებათ მომავალში სამეცნიერო კიბეზე ზემოთ აინიოთ. მოგიწოდებთ, მიიღოთ მონაწილეობა ამ კონკურსში. ნებისმიერ თქვენგანს სიამოვნებით ვიხილავ აუდიტორიაში ლექციების წასაკითხად“, – აღნიშნა ჯაბა სამუშიამ დოქტორანტებთან შეხვედრაზე.

## თსუ-ს 150 ასისტენტი (ახალგაზრდა მეცნიერი) შეემატება

სასწავლო და კვლევითი პროცესების გასაძლიერებლად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს ახალგაზრდა და ნიჭიერი კადრების მოსაზიდად. აღნიშნულის მხარდასაჭერად, თსუ-ს რექტორის ჯაბა სამუშიას ინიციატივით, მიმდინარე სასწავლო წელს გამოცხადებული კონკურსის შედეგად თსუ-ს 150 ასისტენტი – ახალგაზრდა მეცნიერი შეემატება.

პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით, ასისტენტი განახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში. ასისტენტის თანამდებობაზე დოქტორანტი 3 წლის ვადით აირჩევა.

ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციით, უნივერსიტეტის აკადემიური პროცესის მდგრადი განვითარებისთვის თსუ ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში



მონაწილეობას მონვეულ ლექტორებსაც შესთავაზებს.

აღნიშნული გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს პროფესიონალი ახალგაზრდა კადრების აღზრდას, აკადემიური სფეროს განვითარებას, სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას.

## თსუ-ში სამეცნიერო ჟურნალების დაფინანსება იწყება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური და კვლევითი პოტენციალის გაძლიერების მიზნით სამეცნიერო ჟურნალების დაფინანსების პროექტი იწყება. აღნიშნული ნაბიჯი ხელს შეუწყობს სამეცნიერო კვლევების განვითარებას, თსუ-ს მეცნიერების მხარდაჭერას და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში უნივერსიტეტის პოზიციების გაძლიერებას.

„უნივერსიტეტის მიზანია, რომ ხელი შეუწყოს მეცნიერებისა და კვლევის მუდმივ განვითარებას, რათა შევქმნათ გარემო, რომელიც წაახალისებს ინოვაციებსა და მეცნიერების სხვადასხვა დარგებს. უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალები განიხილება როგორც პლატფორმა, რომელიც ხელს შეუწყობს სხვადასხვა დარგში სამეცნიერო იდეებისა და ინოვაციების გაცვლას, ასევე ახალგაზრდა მეცნიერებისთვის კვლევების გამოქვეყნების შესაძლებლობას.

დაფინანსების გამოყოფა სამეცნიერო ჟურნალებისთვის წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ამ მიზნის მისაღწევად“, – აღნიშნა თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ.

პროექტის ფარგლებში ფაკულტეტებზე შეიქმნება სამეცნიერო ჟურნალები, რაც ხელს შეუწყობს მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებას და კვლევების შედეგების ფართო საზოგადოებაში გავრცელებას. უნივერსიტეტის მიზანია – უზრუნველყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ჟურნალების ფუნქციონირება, რაც გააძლიერებს უნივერსიტეტის როლს როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო წრეებში.

დაფინანსება შეეხება როგორც არსებულ, ასევე ახალ სამეცნიერო ჟურნალებს, რომელიც მომავალში შეიქმნება.

თსუ-ს ბიბლიოთეკაში, ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკასა და იოსებ გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმში არსებული წიგნა-ერი ფონდი, რომელთაც თსუ აერთიანებს, ერთ-ერთი ყველაზე დიდი საქართველოში. თსუ-ს რექტორის ჯაბა სამუშიას ინიციატივით, თსუ-ს ვებ-გვერდზე შეიქმნება თსუ-ს ბიბლიოთეკების კატალოგების ერთიანი, საერთო საძიებელი. ერთიანი საძიებო პროგრამა მომხმარებლებს შესაძლებლობას მისცემს მარტივად ისარგებლონ როგორც თსუ-ს, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზებით.

ერთიანი ფანჯრის პრინციპით, მკითხველი მოიძიებს საჭირო დოკუმენტს სხვადასხვა საძიებო პარამეტრებით: დოკუმენტის სახელწოდება, ავტორი, ბარკოდი, საკვანძო სიტყვა და ა.შ.

აღნიშნული გადაწყვეტილება თანამედროვე სამეცნიერო და საგანმანათლებლო საჭიროებებიდან გამომდინარეობს, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საბიბლიოთეკო მომსახურების ხარისხს. ერთიანი რესურსები მეტად ხელმისაწვდომი გახდება როგორც სტუდენტებისთვის, ისე მკვლევარებისთვის.

## თსუ-ს ბიბლიოთეკების ერთიანი საძიებო პროგრამა იქმნება




# თსუ-ს კურსდამთავრებულს მათემატიკურ ფიზიკაში 2025 წლის ჰეინემანის პრემია მიენიჭა

თსუ-ს კურსდამთავრებული, ირლანდიის სამეფო აკადემიის (RIA) ნამდვილი წევრი, პროფესორი სამსონ შათაშვილი მათემატიკურ ფიზიკაში ახლახანს დაჯილდოვდა დენი ჰეინემანის პრემიით, რომელიც დაარსებულია ამერიკის ფიზიკოსთა საზოგადოებისა და ამერიკის ფიზიკის ინსტიტუტის მიერ და გაიცემა გამორჩეული პუბლიკაციებისათვის მათემატიკურ ფიზიკაში (იხილეთ <https://www.aps.org/funding-recognition/prize/dannie-heineman>).

სამსონ შათაშვილმა 1981 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სპეციალობით „თეორიული ფიზიკა“ და ამავე წელს ჩააბარა თსუ-ს ასპირანტურაში. მალევე იგი მიწვეულ იქნა მათემატიკური ფიზიკის დარგის მსოფლიო მასშტაბის ლიდერის, მრავალი საერთაშორისო პრემიის ლაურეატის, აკადემიკოს ლუდვიგ ფადდევეის მიერ სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში. 2 წელიწადში მან უკვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (ლენინგრადის უნივერსიტეტში) და სამუშაოდ დარჩა ფადდევეის ჯგუფში. 1989 წელს კი დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ასევე ლენინგრადში (ახლანდელი სანკტ პეტერბურგი). ამ დროიდან იგი პროფესორის პოზიციაზე მუშაობდა აშშ-ში ჯერ ჩიკაგოს უნივერსიტეტში, შემდგომში პრინსტონის მონინავე კვლევების ინსტიტუტში (Institute for Advanced Studies, Princeton, USA) და იელის უნივერსიტეტში.

აღსანიშნავია, რომ 2014 წელს პროფესორ სამსონ შათაშვილს მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციაში (სამეცნიერო პოტენციალის წარმოჩენა საზღვარგარეთ, უნივერსიტეტებს შორის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო პროცესის განვითარება, ახალგაზრდების სამეცნიერო-პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება) შეტანილი წვლილისათვის.



**აღსანიშნავია, რომ 2014 წელს პროფესორ სამსონ შათაშვილს მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციაში (სამეცნიერო პოტენციალის წარმოჩენა საზღვარგარეთ, უნივერსიტეტებს შორის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო პროცესის განვითარება, ახალგაზრდების სამეცნიერო-პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება) შეტანილი წვლილისათვის**

სამსონ შათაშვილის კვლევითი ინტერესები ბოლო ოთხი ათწლეულის მანძილზე შეიძლება დაიყოს ექვს ძირითად მიმართულებად: კვანტური ანომალიები; უსასრულო-განზომილებიანი ჯგუფების თანაშეუღლებული (coadjoint)

ორბიტები და წარმოდგენათა თეორია; ლია სიმების ველის თეორია; მანიფოლდები (მრავალსახეობები) გამონაკლისი პოლონომიით; სუპერსიმეტრიული კვანტური ველის თეორია; კვანტური ინტეგრირებადი სისტემები.

სამსონ შათაშვილი ამჟამად გახლავთ დუბლინის ტრინიტის კოლეჯში/ტრინიტის კოლეჯ დუბლინის (TCD) ნატურალური ფილოსოფიის საუნივერსიტეტო კათედრის გამგე – University Chair of Natural Philosophy (1847). ეს კათედრა ღორდთა პალატამ სპეციალურად შეუქმნა ჰამილტონს 1847 წელს და ასე ჰქვია დღემდე. პროფესორი სამსონ შათაშვილი, ასევე, TCD-ს ჰამილტონის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორია.

ინფორმაციისთვის: ჰეინემანის პრემია მათემატიკურ ფიზიკაში წარსულში მსოფლიო მნიშვნელობის ფიზიკოსებს ჰქონდათ მიღებული, როგორებიცაა: ნობელის პრემიის ლაურეატები – სტივენ ვეინბერგი, გერალდ ჰოფტი და ჯულიან დაისონი; ასევე ისეთ გიგანტებს, როგორებიცაა – სტივენ ხოუკინგი, ნიკოლაი ბოგოლუბოვი, ლუდვიგ ფადდევეი, მუეი გელმანი, იუჯიჰირო ნამბუ, სუბრაჰმან ჩანდრასეკარი, ალექსან-

დრე პოლიაკოვი, ედუარდ ვიტენი, ვლადიმერ არნოლდი და სხვ.

„ისეთი საერთაშორისო დონის მეცნიერის არსებობა, როგორც პროფესორი სამსონ შათაშვილია, უდაოდ საამაყოა თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის, განსაკუთრებით კი ფიზიკოსებისა და მათემატიკოსებისათვის, მთელი უნივერსიტეტისათვის, საქართველოსთვის და სამაგალითოა მომავალი თაობისათვის! ძალიან სასიხარულოა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეეძლო და ახლაც შეუძლია ისეთი მოტივირებული ახალგაზრდების აღზრდა, რომლებიც მომავალში ასეთ წარმატებულ მეცნიერებად ყალიბდებიან! ვფიქრობთ, ბატონი სამსონის შემთხვევა არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ სწორედ საქართველოში, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებული განათლება არის საფუძველი შემდგომი დიდი მეცნიერული წარმატებებისა ფიზიკაში, მათემატიკასა და სხვა საბუნებისმეტყველო დარგებში!

უფსურვებთ ბატონ სამსონს ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას და კიდევ მრავალ წარმატებას მეცნიერების ამ ურთულეს სფეროში!“ – აღნიშნა თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა პეტრე ბაბილუამ.

ვრცელი ინტერვიუ სამსონ შათაშვილთან იხილეთ (<https://www.ria.ie/blog/samson-shatashvili-mria-theoretical-and-mathematical-physicist/>), რომელიც გამოქვეყნდა ირლანდიის სამეცნიერო აკადემიის მიერ 2024 წლის 17 ოქტომბერს.

*მასალა მოამზადეს: თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა პეტრე ბაბილუამ და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულების ასისტენტ-პროფესორმა თეიმურაზ ნადარეივილიმ.*

## „ტრანსფორმაციის კვლევების ევროპული ჟურნალი“ თსუ-ს სახელით გამოიცემა

მანია ბორაძე

European Journal of Transformation Studies („ტრანსფორმაციის კვლევების ევროპული ჟურნალი“) – ასე ეწოდება მაღალრეიტინგულ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალს, რომელიც სულ მალე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეგიდით გამოვა.

ჟურნალს არსებობის საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი 2013 წლიდან გამოიცემოდა გდანსკის უნივერსიტეტის (პოლონეთი) პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტთან და უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტთან თანამშრომლობით. მისი სარედაქციო კოლეგიის მრჩეველთა საბჭოში თსუ-ს პროფესორები ალექსანდრე კუხიანიძე და მალხაზ მაცაბერიძეც საქმიანობდნენ. ახალი წლიდან კი გამოცემას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით, ასოცირებ-

ული პროფესორი ზვიად აბაშიძე ჩაუდგება სათავეში.

როგორც ჟურნალის საცნობარ ნაწილში იკითხება, „ტრანსფორმაციის კვლევების ევროპული ჟურნალი“ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მეცნიერთა თანამშრომლობის შედეგია. ის ყურადღებას ამახვილებს სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია ევროპის ამ ნაწილისთვის, თუმცა მასში წარმოდგენილი თემები ეხება სხვა საკითხებსაც, მაგალითად, იქნება ეს გლობალური კრიზისი თუ ტერორიზმი.

როგორც ჟურნალის რედაქტორმა, თსუ-ს ასოცირებულმა პროფესორმა ზვიად აბაშიძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ჟურნალი აზრთა და იდეების გაცვლის საერთაშორისო პლატფორმაა, რომელშიც მონაწილეობენ სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნიდან. მას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული სარედაქციო პოლიტიკა და ფოკუსირე-

ბულია პოლიტიკის მეცნიერებებზე. „ამ ჟურნალის ჩვენი უნივერსიტეტის ეგიდით გამოცემა საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა პოლიტიკის მეცნიერებებში მოღვაწე მკვლევარებისთვის, რადგან აქამდე ჩვენ არ გვქონდა მაღალრეიტინგული გამოცემა. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი მეცნიერების სამკვლევრო საქმიანობის სტიმულირებას და პოპულარიზაციას. გამოცემის თაობაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეთანხმება უკვე მიღწეულია და მოკლე დროში გამოიყოფა თანხა ჟურნალის ფუნქციონირებისთვის. ჩვენ ვეცდებით, კიდევ უფრო განვავითაროთ ჟურნალი, რომ უფრო მაღალრეიტინგულ ბაზებშიც ინდექსირდეს“, – აღნიშნა ზვიად აბაშიძემ.

„ტრანსფორმაციის კვლევების ევროპული ჟურნალი“ 2015 წლის აპრილიდან ინდექსირებულია მონაცემთა ბაზაში ERIH Plus, ხოლო 2017 წლიდან – Emerging Sources Citation Index-ში (Web of Science-ის ნაწილი).



1927 წლიდან

# თბილისის უნივერსიტეტი



## სტუდენტური ფურცელი



### ნინო თოდუა აკაკი ჩხენკელის სახელობის სტიპენდიატია

აკაკი ჩხენკელის სახელობის სტიპენდია ყოველწლიურად ენიჭება უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ერთ სტუდენტს

6 გვ.

### უნივერსიტეტული ალექსანდრე ქართველიშვილი „ნიგნების თაროს“ XI სტუდენტური სეზონის ფინალისტია

სანდროს დებიუტი გადაცემაში 2023 წელს შედგა

9 გვ.

### სად წამოჭრა ნინო მაისურაძემ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის საკითხი

ფრაგმენტი შთაბეჭდილებების დღიურიდან

10 გვ.



# თსუ-ს რექტორი NASA-ს ჰაკათონის საქართველოს მასშტაბით გამარჯვებულ სტუდენტებს შეხვდა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ NASA Space Apps Challenge Tbilisi 2024-ის გამარჯვებული თსუ გუნდის წევრები „ასტერისკი“ მაღლობის სიგელებით და საუნივერსიტეტო საჩუქრებით დააჯილდოვა. თსუ-ს ფიზიკის მიმართულების სტუდენტების პროექტი, რომელიც მოიცავს გეომანტიური შტორმის ანალიზს, საქართველოდან წარდგენილია Nasa Space Apps Challenge-ის საერთაშორისო შეჯიბრზე და მონაწილე გუნდებიდან მსოფლიო მასშტაბით საუკეთესო 10 პროცენტში შედის.

თსუ-ს რექტორის ჯაბა სამუშიას ინიციატივით, NASA Space Apps Challenge ჰაკათონის მონაწილე სტუდენტები ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაციაში – CERN-ში მსოფლიოს უდიდეს ლაბორატორიას დაათვალიერებენ.

NASA Space Apps Challenge Tbilisi 2024 ჰაკათონმა 70-ზე მეტ მონაწილეს უმასპინძლა საქართველოს მასშტაბით. ჰაკათონმა გააერთიანა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, პროგრამირების, ინჟინერიის, დიზაინის, მონაცემთა ანალიტიკის, სთორითელინგის, ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტები და კურსდამთავრებულები. თსუ-ს გუნდის „ასტერისკი“ (ლათ. „პატარა ვარსკვლავი“) წევრები არიან ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულების მეორე კურსის სტუდენტები: მარიამ ასლამაზიშვილი, ლუკა კეზუა, სალომე ძიგუა და სესილი ბერიშვილი (თსუ-ს ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი ოლეგ ხარშილაძე).

NASA Space Apps Challenge ჰაკათონზე თსუ-ს გუნდმა საქართველოს მასშტაბით გაიმარჯვა. კონკურსის მეორე ეტაპზე, მსოფლიო მასშტაბით, შეირჩა საუკეთესო 10 პროცენტი, რომელშიც შევიდა „ასტერისკი“. NASA Space Apps Challenge 2024-ის გამარჯვებული საერთაშორისო მასშტაბით 16 იანვარს გამოვლინდება.

„ჩვენ ავირჩიეთ გამოწვევა, რომელიც ეხებოდა გეომანტიური ქარიშხლების ანალიზს, კერძოდ, 2024 წლის მაისში მომხდარ მოვლენას. ჩვენი მიზანი



“  
**NASA Space Apps Challenge ჰაკათონზე თსუ-ს გუნდმა საქართველოს მასშტაბით გაიმარჯვა. კონკურსის მეორე ეტაპზე, მსოფლიო მასშტაბით, შეირჩა საუკეთესო 10 პროცენტი, რომელშიც შევიდა „ასტერისკი“.**  
**NASA Space Apps Challenge 2024-ის გამარჯვებული საერთაშორისო მასშტაბით 16 იანვარს გამოვლინდება.**  
 ”

იყო, რომ ამ პროცესის სწორი ანალიზი წარგვედგინა, როგორც ფიზიკოსებს. შევექმენით ვებ-პორტალი, რომელიც საგანმანათლებლო თვალსაზრისითაც საინტერესოა. ის მოიცავს ინფორმაციას – თუ რა არის გეომანტიური ქარიშხალი, ასევე მოიცავს უშუალოდ გეომანტიური შტორმის ანალიზს (კომპიუტერული მეთოდებით გამოთვლილ მონაცემებს, რომელიც ახასიათებს გეომანტიურ შტორმს)“, – განაცხადა „ასტერისკის“ წევრმა, თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა მარიამ ასლამაზიშვილმა.

NASA-ს (აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული

სამმართველო აშშ-ში) უდიდესი ჰაკათონი – NASA Space Apps Challenge, 2012 წლიდან დღემდე, ყოველი წლის ოქტომბრის პირველ კვირას ტარდება, რომელიც მსოფლიოს 300-მდე ქალაქში სხვადასხვა პროფესიის კოსმოსის ენთუზიასტებს უყრის თავს. ჰაკათონი ყოველწლიურად ათობით ათას მონაწილეს მასპინძლობს, რომლებიც გუნდებად ერთიანდებიან და ცდილობენ – დედამიწისა და კოსმოსის უდიდეს გამოწვევებს პრაქტიკული გადაჭრის გზა სულ რაღაც 48 საათში მოუძებნონ. ჰაკათონის მთავარი მიზანი NASA-ს მიერ ათეულობით წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების გამოყენება და განათლების ხელშეწყობაა.

## ნინო თოდუა აკაკი ჩხენკელის სახელობის სტიპენდიატია

თამარ ლალიანი

„ბავშვობაში ხშირად ვთამაშობდი „ექიმობანას“, ჩემი პაციენტები კი თოჯინები და ფუმფულა დათუნები იყვნენ. სხვისი სიცოცხლისთვის ბრძოლა ყოველთვის უდიდეს გმირობად მიმაჩნდა. მართალია, გავიზარდე, მაგრამ ექიმები ჩემთვის დღესაც თეთრხალათიანი სუპერგმირები არიან, რომლებიც მუდმივად დგანან სხვისი ჯანმთელობის სადარაჯოზე“, – აღნიშნავს თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი ნინო თოდუა, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პოლიტიკოსის, ქართული დიპლომატიის თვალსაჩინო წარმომადგენლის აკაკი ჩხენკელის სახელობის სტიპენდია მოიპოვა.

აკაკი ჩხენკელის სახელობის სტიპენდია ყოველწლიურად ენიჭება უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საგანმანათ-

ლებლო პროგრამის ერთ სტუდენტს, რომელსაც გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, ასევე, აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებში.

„ყოველთვის მიტაცებდა ახალ გარემოებებთან ჩიდილი და საკუთარი თავის გამოცდა. ასეთ შესაძლებლობად ჩავთვალე ჩვენი ღირსეული მამულიშვილის სახელობის საუნივერსიტეტო სტიპენდიის მოპოვება. დავექი ახალი გამოწვევის წინაშე, რამაც საბედნიეროდ გაამართლა. გარდა ამისა, სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული სტიპენდია გამოჩენილი ქართველი პოლიტიკოსისა და დიპლომატის – აკაკი ჩხენკელის მოღვაწეობის პოპულარიზებას ემსახურება. ჩემთვის ამ სტიპენდიის მოპოვება უდიდესი პატივი და მოტივაციაა. მახარებს იმის გააზრება, რომ ჩემი შრომა ფასდება“, – ასე ფიქრობს ნინო, ვისთვისაც ყოველთვის იყო და არის პრიორიტეტული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სწორედ ამიტომაც გააკეთა



აბიტურიენტობისას ასეთი არჩევანი...  
 „ვამაყობ, რომ თსუ-ს სტუდენტი ვარ. მახარებს ის ფაქტი, რომ ასეთ წარმატებულ ექიმებთან, პროფესორ-მასწავლებლებთან ურთიერთობის შესაძლებ-

ლობა მაქვს. რა თქმა უნდა, მყავს ჩემი ფავორიტი პროფესორები, რომელთა ლექციებზეც წარუშლელი კვალი დატოვებს ჩემს მეხსიერებაში. ბედნიერი ვარ, რომ მქონდა მათ ლექციებზე დასწრების, მათი გამოცდილების გაზიარების და მათთან კომუნიკაციის საშუალება“, – აცხადებს ნინო, რომელიც სამომავლოდ აპირებს როგორც პრაქტიკული, ასევე სამეცნიერო მიმართულებით განვითარებას.

„მიმაჩნია, რომ კარგი ექიმი თავის მხრივ სამეცნიერო კუთხითაც უნდა ვითარდებოდეს და ჰქონდეს სახსრების ძიების სურვილი. სხვა შემთხვევაში ის ვერ მოახერხებს მუდმივად განახლებადი სამედიცინო სფეროსთვის ფეხის აწყობას“, – ასეთია აკაკი ჩხენკელის სახელობის სტიპენდიატის ნინო თოდუას პრინციპი, რომელიც მამასთან, თსუ-ს პროფესორ ნუგზარ თოდუასთან ერთად ღირსეულად აგრძელებს თავისი მიზნების ერთგულებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.



# თსუ-ს ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის ახალი შეთავაზებები სტუდენტებს



თამარ ღალიანი

თსუ-ს ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრი მატერი-ალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას გეგმავს და მომდევნო სემესტრიდან სტუდენტებს შესთავაზებს ახალი ტექნიკური ბაზით გაუმჯობესებულ და გამრავალფეროვნებულ მომსახურებას. ცენტრი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე 10 წელია, რაც წარმატებით ფუნქციონირებს.

„ჩვენ ვმუშაობთ რამდენიმე მიმართულებით... კერძოდ, ცენტრის მიზნებია: განავითაროს უნივერსიტეტის სტარტაპ, სამეცნიერო და სამეცნიერო დარგის ეკოსისტემები და წვლილი შეიტანოს ქვეყნის ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებაში; რაც შეიძლება მეტი სტუდენტი და მკვლევარი დაინტერესოს ინოვაციური საქმიანობით; აღმოაჩინოს ინოვაციური იდეების ავტორები მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგში; თითოეულ მეცნიერს მისცეს შესაძლებლობა – განავითაროს საჭირო სამეცნიერო და სტარტაპ უნარები და დაეხმაროს მათი საქმიანობის განხორციელებასა და განვითარებაში.

სტარტაპ, სამეცნიერო და სამეცნიერო დარგის ეკოსისტემის განვითარებისთვის ცენტრის მიზანია ისეთი პროდუქტებისა და სერვისების შექმნა, როგორებიცაა: ცოდნის გადაცემა ტრენინგებისა და ლექცია-სემინარების საშუალებით; ინოვაციური იდეების მუდმივი სტიმულირება სხვადასხვა ტექნოლოგიური აქტივობების მეშვეობით (Hackathon, Makathon, Startup Weekend, Ideathon, Techathon და სხვ.); ასევე მეცნიერების პოპულარიზაცია; სხვადასხვა ტიპის კონსულტაციების/მენტორინგის განწევა იდეის ავტორებისა და მკვლევრებისთვის შემდგომ კომერციალიზაციაში მხარდაჭერის მიზნით; იდეების განხორციელების მხარდაჭერი მექანიზმების, სერვისებისა

და მომსახურების ხარისხის უწყვეტი განვითარება“, – ამბობს თსუ ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის ხელმძღვანელი, ისტორიის მიმართულების დოქტორანტი პავლე ჯაგუნავა.

## სტარტაპ იდეები და განხორციელების გზები

უნივერსიტეტში ცენტრის საქმიანობით დაინტერესება საკმაოდ მაღალია. მთავარი ინტერესი იმ სტუდენტებისგან მოდის, რომლებსაც სტარტაპ იდეები გააჩნიათ და ეძებენ მათი განხორციელების გზებს. ასევე დაინტერესება არის ფაბ-ლაბის მიმართულებით, რასაც დიდწილად განაპირობებს უნივერსიტეტში სამეცნიერო სასწავლო კურსების არსებობა. „კურსების ფარგლებში სტუდენტები ფაბ-ლაბში კონკრეტულ პროტოტიპებს და პროდუქტს ქმნიან. ცენტრის საქმიანობით დაინტერესებული ასევე კერძო სექტორიც, რომელთაც გარკვეულ მომსახურებას ვთავაზობთ – იქნება ეს სარეკლამო თუ სხვა სახის მომსახურება“, – აღნიშნავს ცენტრის ხელმძღვანელი.

ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრში უკანასკნელი წლების განმავლობაში არაერთი საინტერესო პროექტი განხორციელდა. მათ შორის, ცენტრის ბაზაზე შეიქმნა მენარმეთა შაბი, სადაც დაინტერესებულ პირებს სასწავლო კურსების ფარგლებში ასწავლიან სხვადასხვა პროფესიებს, მაგალითად: ვებ დიზაინი, გრაფიკული დიზაინი, სოც.მედიის მართვა და ა.შ. ცენტრში ყოველწლიურად ტარდება ვორქშოპები, საჯარო ლექციები, შეხვედრები სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებთან.

## სარეზიუმის

### კომერციალიზაციის იდეა

„საქმიანობის ეფექტურობის ზრდისათვის საჭიროა ცენტრის, ფაბ-ლაბისა და დრონების ლაბორატორიის ტექნიკური აღჭურვილობის განახლება და



პავლე ჯაგუნავა

პრაქტიკა არის დანერგული უცხო ქვეყნის მრავალ უნივერსიტეტში“, – აღნიშნავს პავლე ჯაგუნავა.

ცენტრის დაგეგმილი აქვს დრონების ლაბორატორიის სრული განახლება და ამ მიმართულებით მაღალი კვალიფიკაციის მქონე ტრენერებთან ერთად სასწავლო კურსების შეთავაზება დაინტერესებული სტუდენტებისათვის.

„ამ კურსებზე სტუდენტები შეისწავლიან დრონების მართვისა და მოხმარების როგორც პროგრამულ/თეორიულ უნარ-ჩვევებს, ასევე პრაქტიკულად მათ დაშლა/ანგობას და მართვას.


ფაბ-ლაბი განახლებული ტექნიკით მოემსახურება ახალგაზრდა მეცნიერებს და დაეხმარებით მათი იდეების



გადახალისება, რაზეც აქტიურად ვმუშაობთ ბოლო თვეების განმავლობაში. აღნიშნული საკითხის მოგვარება საშუალებას მოგვცემს – მოხდეს სერვისების დახვეწა როგორც შიდა საუნივერსიტეტო მოხმარებისათვის, ასევე, მიმზიდველი გავხდეთ გარე პარტნიორებისათვის და კერძო სექტორისათვის. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი სერვისების კომერციალიზაციას გარე სექტორისათვის და „ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრი“ გახდება უნივერსიტეტისათვის ფინანსური შესაძლებლობების შემომტანი ერთეული, ისე, როგორც ეს

ხორცშესხმას. ცენტრი ტრადიციულად შესთავაზებს სტუდენტებს სხვადასხვა ტრენინგ-კურსებს, აქტიურად ვიმუშავებთ სტარტაპებთან. ამ სემესტრში იგეგმება შაკათონისა და საჯარო ლექციების ორგანიზება. ასევე, აქტიურად ვმუშაობთ რამოდენიმე უცხოურ ორგანიზაციისთან საერთაშორისო პარტნიორობის გასაფორმებლად და სამომავლო საერთო პროექტების დასაგეგმად“, – ასეთია ხელმძღვანელის სამომავლო ხედვები.

ცენტრი მდებარეობს თსუ-ს მე-10 (მაღლივი) კორპუსში.



## ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის სტიპენდიატები

თამარ ღალიანი

სტუდენტთა მოტივაციის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათ ნახალისებას, განსაკუთრებით კი პროფესიული ორგანიზაციებიდან, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ კურსდამთავრებულების შემდგომ დასაქმებაში.

ასეთ ორგანიზაციას აღრიცხვის, ანალიზის და აუდიტის მოდულის სტუდენტებისათვის წარმოადგენს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფ). იგი 2006 წლიდან ჩვენი მოდულის მე-4 კურსის ორ წარჩინებულ სტუდენტს ყოველწლიურად უხდის სტიპენდიას 125 ლარის ოდენობით.

კათედრის მიერ სტუდენტთა შერჩევა ხდება GPA-ს, მოდულის საგნებში მაღალი აკადემიური მოსწრებისა და პედაგოგების რეკომენდაციით.

ბაფ-ს სტიპენდიატები

2024-2025 სასწავლო წლის ბაფის სტიპენდიანტები

BAF.GE

ამჟამად, ბაფ-ის სტიპენდიატზე წარდგენილია თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მე-7 სემესტრის კიდევ ორი სტუდენტი – ლილი წერეთელი და მარიამ სხირტლაძე, რომლებიც შემდგომ 10 თვის განმავლობაში მიიღებენ ბაფ-ის სტიპენდიას.

## ანტვერპენის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული საზაფხულო სკოლის მონაწილეთა გამოხმაურება

თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტებმა ნინო შავაძემ, ნინო ხარაიშვილმა და მერაბ ჭანტურამ მონაწილეობა მიიღეს ანტვერპენის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საზაფხულო სკოლაში, რომელიც ფოკუსირებული იყო ფარმაცოლოგიურ უსაფრთხოებასა და კარდიო-ონკოლოგიაზე.

„საზაფხულო სკოლა ჩვენთვის უნიკალური შესაძლებლობა აღმოჩნდა – დავსწრებოდით მაღალი დონის ლექციებს, რომლებიც მოიცავდა უახლეს კვლევებს და ინოვაციებს კარდიო-ონკოლოგიის სფეროში. გარდა ამისა, შესაძლებლობა გვქონდა მონაწილეობა მიგვეღო პრაქტიკულ სესიებში, სადაც განიხილავდნენ რთულ კლინიკურ შემთხვევებსა და ფარმაცოლოგიურ რისკებს, რაც ეხება პაციენტებს, რომლებსაც კიბოს მკურნალობის პარალელურ-

რად გულ-სისხლძარღვთა დაავადებები აწუხებთ. ეს იყო ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდილება. საზაფხულო სკოლამ მოგვცა შესაძლებლობა – გავვეცნო ნამყვანი სპეციალისტები და დავუფლებოდით პრაქტიკულ უნარებს, რომლებიც აუცილებლად გამოგვადგება მომავალში, როგორც ექიმებს, ჩვენს სამომავლო პროფესიაში“, – აღნიშნავს საზაფხულო სკოლის მონაწილენი.





მაია ტორაძე

# ახალი სამაგისტრო პროგრამა – „ეროვნული უსაფრთხოება, დემოგრაფიული პოლიტიკა და მიგრაციები“ – პირდაპირ ეხმიანება პარლამენტის დადგენილებას

ოსუს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ამოქმედდა ახალი სამაგისტრო პროგრამა – „ეროვნული უსაფრთხოება, დემოგრაფიული პოლიტიკა და მიგრაციები“. მსგავსი პროგრამა უნივერსიტეტში აქამდე არ გვექონია. მისი შექმნა განაპირობა მსოფლიოში არსებულმა დემოგრაფიულმა პრობლემამ, რომელიც გლობალურ საფრთხედაა გამოცხადებული, რადგან კატასტროფულად იზრდება მსოფლიო მოსახლეობის რიცხვი. ბოლო მონაცემებით, დედამიწის მოსახლეობა წელიწადში, დაახლოებით, ასი მილიონი ადამიანი იზრდება. არის გათვლები და რეალური პროგნოზები, რომ, თუ ასე გაგრძელდა, სადაც 2050-იანი წლებისთვის პლანეტის მოსახლეობა, შესაძლოა, 12, 14, ზოგიერთი დაანგარიშებით კი, 15 მილიარდი გახდეს. ეს, ცხადია, გამოიწვევს პრობლემებს – შეცვლის აგრო სექტორს, შეცვლის საფინანსო სექტორს, საბანკო სექტორს და მთელ ეკონომიკას.

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიკოს ვაჟა ლორთქიფანიძის თქმით, მოსახლეობის ზრდის ასეთი მაჩვენებელი პოლიტიკასაც შეეხება. ბოლო მონაცემებით, რომელსაც ბატონი ვაჟა გვიზიარებს, შობადობის ზრდის მაჩვენებლის მხოლოდ 3% მოდის განვითარებულ ქვეყნებზე, დანარჩენი 97% კი – განვითარებადზე. მომავალში ეს გამოიწვევს იმას, რომ ზოგიერთი სახელმწიფო შთაინთქმება სხვა სახელმწიფოს მიერ, ზოგიერთი შეიძლება მთლიანად გაქრეს ან, სულაც, ახალი სახელმწიფო შეიქმნას და ეს მსოფლიო გეოპოლიტიკას მთლიანად შეცვლის. „აი, ასეთი დიდი პრობლემების წინაშე ვდგავართ, რადგან ეს ყველაფერი საქართველოსაც შეეხება, ოღონდ ცოტა განსხვავებული კუთხით – ჩვენს ყოფას და დემოგრაფიულ პრობლემებს ამწვავებს ის, რომ აქ საპირისპირო პრობლემა დგას – შობადობის და მოსახლეობის რაოდენობის შემცირება. 1989 წლის მონაცემებით, 5,4 მილიონი ვიყავით, ახლა თითქმის 30%-ით ნაკლებნი ვართ. ეს გამოიწვია ძირითადად მიგრაციულმა პროცესებმა, თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ეს არ მომხდარა ეროვნებით ქართველი მოსახლეობის ხარჯზე – მიგრაციულ მაჩვენებელში სულ მხოლოდ 13 პროცენ-

ტია ეროვნებით ქართველი. პრობლემას ისიც ამწვავებს, რომ საქართველოში შობადობა ძალიან დაბალია და წლიდან წლამდე ქართველთა რაოდენობაც იკლებს“, – ამბობს იგი.

სამაგისტრო პროგრამის არსებობის აუცილებლობას ვაჟა ლორთქიფანიძე იმითაც ასაბუთებს, რომ დემოგრაფიული პრობლემა პირდაპირ უკავშირდება ეროვნული უსაფრთხოების საკითხებს. „ყველაზე მარტივი ზოგადი განმარტება ეროვნული უსაფრთხოებისა გახლავთ ქვეყნის მოსახლეობის არსებობასა და განვითარებასთან დაკავშირებული რისკების შემცირება ან საერთოდ ამ რისკების მოხსნა. დანარჩენი – იქნება ეს ომის საშიშროება, ეკოლოგიური თუ სხვა, საბოლოო ჯამში უკავშირდება მოსახლეობას, ადამიანს, რაც ყველა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ხაზგასმულადაა ასახული. ცალკეა გამოყოფილი დემოგრაფიული უსაფრთხოება. ამიტომ, არც თუ ისე დიდი ხნის წინ, 2016 წელს, ჩვენი ინიციატივით და აქტიური მონაწილეობით, ასევე საერთაშორისო სპეციალისტების ჩართულობით, საქართველოს პარლამენტმა მიიღო „დემოგრაფიული უსაფრთხოების ეროვნული კონცეფცია“. ეს ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელშიც მთელი რიგი საკითხებია მიმართული იმისკენ, რომ დემოგრაფიული ვითარება გაუმჯობესდეს საქართველოში“, – გვითხრა ვაჟა ლორთქიფანიძემ.

ახალი სამაგისტრო პროგრამა – „ეროვნული უსაფრთხოება, დემოგრაფიული პოლიტიკა და მიგრაციები“ – პირდაპირ ეხმიანება პარლამენტის ამ დადგენილებას. შეიძლება ამიტომაც, ამ პროგრამას ძლიერი სახელმწიფო მხარდაჭერა აქვს. კონკრეტულად, სპეციალურად გაფორმებული მემორანდუმით, პროგრამას მხარს უჭერს ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო – მათ ევალებათ მთავრობაში ამ საკითხების კურირება. „ჩვენი მხარდაჭერა, ასევე, შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეც და თსუს რექტორმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს თანამშრომლობის შესახებ. მემორანდუმში, გარდა მხარდაჭერისა, უფრო ფართო მიზნებსაც მოიცავს. კერძოდ, მის ფარგლებში საპარლამენტო კომიტეტი და ჯანდაცვის სამინისტრო იღებენ ვალდებულებას, რომ ჩვენი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს აქტიურად ჩართავენ ამ პრობლე-



სამაგისტრო პროგრამა წელს გაიხსნა და ამიტომაც ჯერ ცოტა – სულ 8 სტუდენტი შეუდგა სწავლას. პროგრამის მესვეურთა თქმით, დასაწყისისთვის ეს სრულიად საკმარისია

მატიკის შესწავლასა და ანალიზში. ეს ჩვენი სტუდენტებისთვის ძალიან კარგი პრაქტიკა იქნება“, – აცხადებს პროგრამის ხელმძღვანელი.

სამაგისტრო პროგრამა წელს გაიხსნა და ამიტომაც ჯერ ცოტა – სულ 8 სტუდენტი შეუდგა სწავლას. პროგრამის მესვეურთა თქმით, დასაწყისისთვის ეს სრულიად საკმარისია.

ამავე პროგრამაზე 2017 წლიდან არსებობს დოქტორანტურაც. დემოგრაფიას და მის პრობლემატიკას აქ უკვე 8 დოქტორანტი იკვლევს. მათ შორის რამდენიმე უცხოეთში აგრძელებს საქმიანობას და კარგი შესაძლებლობები აქვთ – კვლევები განახორციელონ. პროგრამას კონტაქტები აქვს ევროპის არაერთ ქვეყანასთან, მათ შორის, ბალტიისპირეთთან, საფრანგეთთან და ბელგიასთან, რომელმაც მაგისტრატუ-

რის ორი სტუდენტი დააჯილდოვა სტიპენდიით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დემოგრაფიის სამაგისტრო პროგრამის 4 სტუდენტი იღებს სტიპენდიას თვეში 200 ლარის ოდენობით. ხელმძღვანელის თქმით, მომავალში ასეთი მატერიალური მხარდაჭერა კვლავ გაგრძელდება.

„დემოგრაფია (დემოლოგია – როგორც ჩვენ ვეძახით) არის ინტერდისციპლინური და ძალიან სწრაფად მზარდი მეცნიერება და ამის გამო მას კლასიფიკაციათა ჩარჩოში ცალკე ადგილი უჭირავს ისე, როგორც, სოციოლოგებს, პოლიტიკურ მეცნიერებებს. ამ სპეციალობით სხვადასხვა მიმართულების კურსდამთავრებულები ინტერესდებიან, რადგან პერსპექტიული დარგია. ეჭვიც არ მეპარება, რომ, მსგავსად სოციოლოგიისა, რომელიც გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დამკვიდრდა ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში, დემოგრაფიაც ძალიან მოთხოვნადი და საჭირო სპეციალობა გახდება. ჩვენ გვაქვს ძალიან საინტერესო საგნები და გვყავს შესანიშნავი პროფესორები. ჩვენ გვინდა, რომ ამ დარგში მაღალი დონის სპეციალისტები მოვაშალოთ, რის შესაძლებლობასაც იძლევა წარმატებით აკრედიტებული ჩვენი სამაგისტრო პროგრამა“, – აცხადებს ვაჟა ლორთქიფანიძე.

## რა გავლენა იქონია ვლადიმერ ნოზაძეზე ესპანეთში სწავლამ

ენიო ხაუალია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი ვლადიმერ ნოზაძე გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ესპანეთში, კორუნიის უნივერსიტეტში სწავლობდა.

„ესპანეთში გაცვლითი პროგრამით სწავლამ როგორც აკადემიური, ისე პიროვნული განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი, პოზიტიური გავლენა იქონია ჩემზე. ქალაქი კორუნია გამოირჩევა განსაკუთრებული ფლორით, რადგანაც ქალაქს ესაზღვრება როგორც მთები, ასევე, ატლანტიის ოკეანე. La Coruña არის ერთ-ერთი გამორჩეული საუნივერსიტეტო ქალაქი



გალიციის მხარეში, შესაბამისად, საუნივერსიტეტო ცხოვრების გაუმჯობესებისკენ არის მიმართული ქალაქის ინფრასტრუქტურა, ქალაქის ადმინისტრაციის საქმიანობა, რის შედეგადაც უზრუნველყოფილია სტუდენტების ტრანსპორტირება. მეტიც, სტუდენტებისთვის საცხოვრებელი ადგილები ადვილად ხელმისაწვდომი და მათ საჭიროებებზე არის მორგებული.

სწავლის პერიოდში კიდევ უკეთ გავიცანი ესპანური კულტურა; ამასთან, შევიძინე საკმაოდ ბევრი მეგობარი, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანას წარმოადგენენ. კულტურული ფასეულობების სტუდენტებს შორის გაზიარება და სიამაღობის შექმნა ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო ზემოაღნიშ-

ნული გაცვლითი პროგრამის ფარგლებში“, – ამბობს ლადო ნოზაძე.

სტუდენტი საუბრობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის წარმატებაზეც, რისი მონაწილეც თავად არის. „თსუ სამართლის დარგში შეუდარებელია, საუკეთესო უნივერსიტეტია საქართველოში. იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი გამოირჩევა პროფესიონალიზმით, სტუდენტები – მაღალი პასუხისმგებლობით“, – ასეთია ლადო ნოზაძის თვალთახედვა, რომელიც თვლის, რომ საინტერესო იქნება, თუკი თსუ-ში მეტი პროფესიული საგანი იქნება უცხო ენაზე შეთავაზებული სტუდენტებისთვის, რაც მათ იურიდიულ ბაზას გაამდიდრებდა.



# თურქული ენის საზაფხულო ბანაკი

61660 აააულია

თურქოლოგიის კათედრის ეგიდით სვანეთში, დაბა მესტიაში მოენყო თურქული ენის საზაფხულო ბანაკი, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილი იყო როგორც შემეცნებითი ნაწილი, ისე კულტურული პროგრამა. მიზანი, რომელსაც ემსახურებოდა თურქული ენის საზაფხულო ბანაკი, იყო თურქოლოგიის პროგრამის სტუდენტებს გაეუმჯობესებინათ პრაქტიკული თურქული ენის ცოდნა და უკეთ გაეცნოთ თურქული კულტურა, ისტორია, ეთნოგრაფია.


5 დღის განმავლობაში მონაწილეებმა მოისმინეს ქართველი და თურქი პროფესორების მიერ წაკითხული ლექციები თემებზე: დედე ქორქუთის წიგნი;



თურქეთელი ქართველების ევროპული დიასპორა: თურქების უძველესი რელიგიები; კონცეპტ „სამშობლოს“ გამოხატვის ხერხები თურქულში; ლეილა და მეჯნუნი. სემინარების პარალელურად დაგეგმილი კულტურული ღონისძიებების ფარგლებში მონაწილეებს ჰქონდათ საშუალება – დასწრებოდნენ მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალს, დაეთვალაიერებინათ ადგილობრივი ღირსშესანიშნაობები, დაეგემოვნებინათ სვანური კერძები, მონაწილეობა მიეღოთ კულინარიულ დუელებში, რომელიც ეწყობოდა ქართველ და თურქ მონაწილეებს შორის. ბანაკის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

აღნიშნული პროექტის იდეის ავტორის და ორგანიზატორის, თსუ-ს ასოცირებული პროფესორის, თურქოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელის ელისაბედ ბუალავას განცხადებით, არსებობს დიდი სურვილი, რომ ამ ღონისძიებამ მიიღოს სისტემატური სახე. სამომავლოდ დაგეგმილია თურქეთის უნივერსიტეტებში ქართველოლოგიურ კათედრებთან თანამშრომლობა, რაც კიდევ უფრო საინტერესო და მრავალფეროვანს გახდის ბანაკის პროგრამას.

„პროექტი ვერ განხორციელდებოდა,



რომ არ ყოფილიყო მშობლიური უნივერსიტეტის – თსუ-ს მხარდაჭერა, რისთვისაც მთელი ჯგუფის სახელით მიინდა მადლობა გადავუხადო თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბატონ ლაშა საღინაძეს და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ დარეჯან თვალთვაძეს; ასევე,

პროექტში ჩართულ ლექტორებს უანგაროდ განუელი თანამშრომლობისათვის: ფილოლოგიის დოქტორებს მზისა ბუსკვიძეს, ქადრიე ალქან ჰაირს, სალიპ უჩაქს და ისტორიის დოქტორ ნინო ოქროსცვარიძეს; და, რაღა თქმა უნდა, ჩვენს არაჩვეულებრივ სტუდენტებს“, – ამბობს ელისაბედ ბუალავა.

# უნივერსიტეტული ალექსანდრე ქართველიშვილი „წიგნების თაროს“ XI სტუდენტური სეზონის ფინალისტი

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების მეორე კურსის სტუდენტი სანდრო ქართველიშვილი წარმატებული ახალგაზრდული პროექტის – „წიგნების თაროს“ XI სტუდენტური სეზონის ფინალისტი. იგი მეორედ იღებს მონაწილეობას პროექტში. აღსანიშნავია, რომ წინა მცდელობისას ფინალში, ე.წ. ბლიცის რაუნდამდე, მისი გუნდი „ეიაფიალაიოკული“ ლიდერობდა, მაგრამ ბოლო ნამებში ყველაფერი სხვანაირად წარიმართა. „საკმაოდ მტკივნეული გამოცდილება იყო წინა სეზონი, რადგან მიზანთან ასე ახლოს ვიყავით და ბოლოს მაინც მოულოდნელი მარცხი ვიგემეთ, მაგრამ, მიუხედავად ამ წაგებისა, მე და ალექსიმ იმ დღესვე მოვილაპარაკეთ, რომ მომდევნო სეზონშიც აუცილებლად გავიდოდით და ბედს ვცდიდით“, – ამბობს სანდრო ქართველიშვილი.

სანდროს დებიუტი „წიგნების თაროს“ 2023 წლის სექტემბერში შედგა გუნდში „ეიაფიალაიოკული“, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ალექს სიღამონიძე და გიორგი სანიკიძე. როგორც თავად ამბობს, „წიგნების თაროს“ ჩანერაზე იგი სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა. მაშინ პროექტში გიორგი სანიკიძე იღებდა მონაწილეობას და სურვილი გაუჩნდა – ახლო მეგობარს ჩანერაზე გაყოლოდა. იქაური ატმოსფეროთი მაშინვე მოიხიბლა. ახლა იხსენებს, რომ მისთვის თანავე გაუჩნდა სურვილი – მათსავით იმ წითელ ლილაკთან მდგარიყო, რომელთანაც მოთამაშეები იდგნენ...“

მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ ამ სეზონისთვის უფრო მოტივირე-

ბული და საკმაოდ მომზადებული იყოს: „შევეცადე, რომ წინა სეზონში მიღებული მტკივნეული გამოცდილება გადამეკეთებინა სანვავად, რომელიც ძალას მომცემდა მომდევნო სეზონში – უფრო დაკვირვებით მეთამაშა“. სანდრო ქართველიშვილმა და მისმა გუნდელმა ალექსანდრე სიღამონიძემ, მიუხედავად მცირე პაუზისა, კვლავ გადაწყვიტეს პროექტში მონაწილეობა და ახალი გუნდი შექმნეს, რომელსაც მალევე დაემატა გიორგი ადამაშვილი. „რადგანაც ჩვენი ყოფილი წევრი გიორგი სანიკიძე გუნდიდან წავიდა, მოგვაკლდა საუკეთესო ბლიცერი და მალევე დავიწყეთ მისი ძიება. ფაქტი იყო, რომ ამ რაუნდისთვის მზად არც მე და არც ალექსი არ ვიყავით“, – ამბობს სანდრო.

„წიგნების თაროს“ საკმაოდ დიდი და მასშტაბური პროექტია, რომელიც ახალგაზრდებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამის მიზეზი კი იქ არსებული ატმოსფერო და პირობებია, რაც მათ უფრო დიდ მოტივაციას აძლევს, რომ ჩაერთონ და ამით თვალსაწიერში გაიფართოონ. „წიგნების თაროს არ არის მხოლოდ ის 40-45 წუთი, რასაც მაყურებელი ტელეეკრანებზე ხედავს, კადრს მიღმა კიდევ უფრო სასიამოვნო გარემოა, სადაც ურთიერთობა გაქვს შენს თანატოლებთან, წიგნებთან და ლიტერატურასთან – თამაშობთ და ერთად ერთობით დერეფანში“, – გვიხსნის ჩვენი რესპონდენტი.

აღსანიშნავია ისიც, რომ სანდროს პროექტისგან უკვე სხვადასხვა შემოთავაზება აქვს და ეს სეზონი მონაწილის ამპლუაში მისთვის ბოლო იქნება: „შემომთავაზეს, რომ „წიგნების თაროს“ პროდიუსერი და სცენარისტი ვიყო. მომდევნო სეზონიდან აქტიურად ჩავერთებო საორგანიზაციო საქმეებში, რადგან ეს არ არის უბრალოდ ტელეგადაცემა, ის ბევრად მეტია, რაც ახალ თაობას აძლევს მიმართულებას“, – გა-



ალექსანდრე ქართველიშვილი

ნაცხადა მან და დასძინა, რომ, მიუხედავად ამ შემოთავაზებისა, მას პროექტისგან რაიმე სახის დახმარება და სარგებელი არასდროს მიუღია, რადგანაც, ეს მის და, ზოგადად, გადაცემის პრინციპებს ეწინააღმდეგება. „წიგნების თაროს“ ობიექტური და სამართლიანი გადაცემაა. თუ მოხდა, რომ ერთ კონკრეტულ დღეს სცენარისტის მეგობარი და ახლობელი თამაშობს, იმ სცენარისტის მიერ შედგენილი კითხვები არც კი მიდის მოთამაშებთან, რომ რაიმე სახის ზეგავლენა არ ჰქონდეს მას თამაშის საბოლოო შედეგზე“, – აგვიხსნა სანდრო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების გუნდებს „წიგნების თაროსში“ არაერთხელ გაუხარებიათ გულშემატკივრები. ამჯერადაც მეოთხედ ფინალში თსუ-ს ორი გუნდი წარდგება – ერთმანეთს სანდროს ახალი გუნდი „კრატა რეპო“ და გიორგი სანიკიძის „ჰერეგრემი“ დაუპირისპირდებიან.

მარიამ ტყეშელაძე

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულების სტუდენტი



# სად წამოჭრა ნინო მაისურაძემ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის საკითხი

ენიკო ხაუალია

ოსუს იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტი ნინო მაისურაძე, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, ფინეთში, ჰელსინკის უნივერსიტეტში სწავლობდა.

„საზღვარგარეთ სწავლამ მნიშვნელოვანი გამოცდილება მომცა. გარდა იმისა, რომ მივიღე დარგობრივი განათლება და გავიღრმავე ცოდნა საერთაშორისო სამართალში, საზღვარგარეთ სწავლამ გამაცნო ახალი ადამიანები (სტუდენტები, ლექტორები, ცნობილი ადამიანები), რომლებთან მეგობრობასა და თანამშრომლობას დღემდე აქტიურად ვაგრძელებ. ვფიქრობ, საზღვარგარეთ სწავლისას ყველაზე რთული იყო ადაპტაციის პროცესი, თუმცა ჩემი ოჯახის თანადგომა ძალიან დამეხმარა ყველა სირთულის გადალახვაში.

ჰელსინკიში სწავლის პარალელურად აქტიურად ვიყავი ჩართული სხვადასხვა მნიშვნელოვან, საერთაშორისო დონის ღონისძიებებში. მათ შორის მონაწილეობა მივიღე ჰელსინკის უსაფრთხოების ფორუმში (Helsinki Security Forum 2023)

**სიტყვით გამოსვლისას, სხვა მნიშვნელოვან საკითხთან ერთად, ჩვენს უცხოელ კოლეგებს შევახსენე რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე განგრძობადი ოკუპაციის საკითხი, რამაც მათში განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია**

და აგრეთვე მოხსენებით წარვსდექი ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ჰელსინკის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამართლის უზენაესობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე.

სიტყვით გამოსვლისას, სხვა მნიშვნელოვან საკითხთან ერთად, ჩვენს უცხოელ კოლეგებს შევახსენე რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე განგრძობადი ოკუპაციის საკითხი, რამაც მათში განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია.

ეს საკითხი ჩემთვის განსაკუთრებით მძიმეა, ვინაიდან 2008 წელს ჩემი



თვალთ ვნახე რას ნიშნავს ომის საშინელება და ის სისასტიკე, რასაც ქართველების მიმართ ჰქონდა ადგილი. შესაბამისად, ფინეთში სწავლის პერიოდი საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო სხვადასხვა კუთხით. მიხარია, რომ ჩემი და უცხოელი კოლეგების მეგობრობა გრძელდება და წელს რამდენიმე მათგან

ნი კვლავ აპირებს საქართველოში ვიზიტს, – ამბობს ნინო მაისურაძე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლამ ნინოს დაანახა – თუ რამდენად მნიშვნელოვანია იურისტისთვის, საფუძვლიანი განათლების მიღებასთან ერთად, კონკურენტულ გარემოში საკუთარი თავის დამკვიდრების უნარი. „უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები დამეხმარა არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ პროფესიულ ზრდაში. უნდა აღვნიშნო, რომ თსუ ჩემთვის ერთი დიდი ოჯახია, რომელმაც არაერთი ღირებულები და ძვირფასი მეგობარი შემძინა. უნივერსიტეტში გატარებული წლები იყო არაერთი გამოწვევით სავსე, თუმცა საინტერესო და შემოქმედებითი პერიოდი. მიხარია, რომ ჩემი და თსუ-ს ურთიერთობა კვლავ გრძელდება ახლა უკვე მაგისტრატურის საფეხურზე და მინდა გითხრათ, რომ ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტთან ერთად წინ კიდევ არაერთი საინტერესო გეგმა მაქვს“, – აღნიშნავს ნინო მაისურაძე, რომელიც ნატროს – მეტ ახალგაზრდას ჰქონდეს უნივერსიტეტში დასაქმებისა და სამუშაო გამოცდილების მიღების შესაძლებლობა.

## „Erasmus +“-ის გამოცდილება ნამდვილად იმაზე შთამბეჭდავი გამოდგა, ვიდრე ოდესმე წარმოვიდგენდი“

ენიკო ხაუალია

ოსუს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის მიმართულების მე-სამე კურსის სტუდენტისთვის მარიამ ბერიძისთვის, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, სლოვაკეთში გატარებული პერიოდი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო. იგი მატეი ბელის უნივერსიტეტში ერთი სემესტრი სწავლობდა.

„საუნივერსიტეტო სწავლება ორიენტირებული იყო ევროკავშირის სამართალზე. ლექცია-სემინარებზე ხშირად განვიხილავდით კანონმდებლობის თანხვედრის პროცესებს. თანამედროვე რეალობა და ქართული პერსპექტივა კი ყოველივე ამას განსაკუთრებულ ინტერესს სძენდა. აკადემიური გამოცდილების პარალელურად, საზღვარგარეთ ყოფნამ ხელი შეუწყო ჩემი სოციალური უნარების გაუმჯობესებას. საერთაშორისო სტუდენტებთან ურთიერთობამ, სხვადასხვა კულტურასა და მენტალიტეტთან შეხებამ გამიძლიერა მიმდებლობისა და ადაპტაციის უნარი. ამასთან, აქტიურად ვმოგზაურობდი ევროპაში; უკეთ ვავიციანი სხვა ქვეყნების კულტურა, ისტორია და ტრადიციები. ბუენბერვია, უცხო ქვეყანაში, უცხო გა-

რემოში, უცნობ ადამიანებთან ყოფნასთან ახლდა გარკვეული სირთულეები, რამაც შემდგომში სტრესთან გამკლავება მასწავლა. ეს იყო სირთულეები, რამაც უფრო დამოუკიდებელი, თავისუფალი, ძლიერ პიროვნებად მაქცია.

გასულ სემესტრზე საუბარი დაუსრულებლად შემიძლია. განსაკუთრებულ, განსხვავებულ, ბედნიერ მოგონებებს მუდამ ვიხსენებ, თუმცა ვერა და ვერ ვწუწუვ. უბრალოდ ვიტყვი, რომ „Erasmus +“-ის გამოცდილება ნამდვილად იმაზე შთამბეჭდავი გამოდგა, ვიდრე ოდესმე წარმოვიდგენდი“, – ამბობს მარიამი.

მარიამ ბერიძე თსუ-ს ემადლიერება, რომ ამ უნივერსიტეტმა მას საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობა მისცა. ასევე, მარიამს არ ავიწყდება – რა გამოცდილება შესძინა მას იურიდიულმა ფაკულტეტმა, რომელიც საქართველოში პირველია.

„პირველ რიგში, თსუ-ში მიღებულმა განათლებამ ჩამომიყალიბა კრიტიკული აზროვნების უნარები. სხვადასხვა სა-



მართლმწიფი დისციპლინის სწავლის დროს ლექტორ-სემინარისტების პროფესიონალიზმმა და მათმა მიდგომებმა შემიქმნა სივრცე, სადაც განვითარება და ანალიტიკური უნარების გაღრმავება შესაძლებელი გახდა. დისკუსიებზე დაფუძნებული სასწავლო მეთოდები და პრაქტიკული ქეისების ანალიზი წარმატებულ იურისტად ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. გარდა ამისა, თსუ-ს ბაზაზე არსებული სხვადასხვა პროექტი, დებატების ტურნირები და სტუდენტური კონფერენციები დამეხმარა უფრო ფართოდ ჩართულობაში სამართლებრივ სფეროში და გამეღრმავებინა ინტერესები. მრავალ სხვა სიკეთესთან ერთად, თსუ-მ გამომიმუშავა სტრესთან გამკლავებისა და მოთმინების უნარი; დამაკავშირა ჩემი ინტერესების გამზიარებელ ადამიანებთან, მეგობრებთან და მომავალ კოლეგებთან“, – აღნიშნავს მარიამ ბერიძე.

მარიამი თსუ-ში არსებულ გამოწვევებზეც საუბრობს და ამბობს: „ჩემი

პროფესიიდან გამომდინარე, ამჯერად გამოვეყოფი პრაქტიკული სწავლების ნაკლებობას. მრავლად იმართება სხვადასხვა შემეცნებითი ღონისძიება თუ აქტივობა, თუმცა, უკეთესი იქნებოდა, თუ ისინი მოერგებოდა კონკრეტული საგნის სპეციფიკას და თეორიული სწავლების პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მოგვცემდა.

რაც შეეხება უშუალოდ გაცვლითი პროგრამის დროს არსებულ პრობლემებს, ჩემი და სლოვაკეთში მყოფი სხვა ქართველი სტუდენტების ძირითად სირთულეს წარმოადგენდა ვიზის აღება და უნივერსიტეტში შესაბამისი საგნების არჩევა (მასპინძელი უნივერსიტეტის მხრიდან ხარვეზის გამო). ყოველივე ამან საგრძნობლად გაართულა გაცვლითი პროგრამის პერიოდის დასაწყისი. თსუ-ს მხრიდან მეტი ჩართულობა ამ პროცესს ბევრად გააძლიერებდა. ამდენად, უკეთესი იქნება, თუ ერთ ქვეყანაში ნასულ სტუდენტებს ეყოლებათ ხელმძღვანელი, რომელიც დაეხმარება მსგავსი საკითხების მოგვარებაში“.

**მარიამ ბერიძე თსუ-ს ემადლიერება, რომ ამ უნივერსიტეტმა მას საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობა მისცა. ასევე, მარიამს არ ავიწყდება – რა გამოცდილება შესძინა მას იურიდიულმა ფაკულტეტმა, რომელიც საქართველოში პირველია**



# ჯაბა სამუშიამ ინოვაციური კვლევის ავტორ სტუდენტებს მხარდაჭერა აღუთქვა

ტსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრში ტსუ-ს სტუდენტების მიერ შექმნილი პროდუქცია დაათვალიერა, FabLab-სა და დრონების ლაბორატორიაში მიმდინარე საქმიანობას გაეცნო და ინოვაციური კვლევის ავტორ სტუდენტებს შეხვდა.

ტსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა საკუთარი კვლევის „ოპტიკური სპექტროსკოპიის სამედიცინო და ეკოლოგიური გამოყენება“ პრეზენტაცია წარადგინეს, რომელსაც ფიზიკური პროცესების მოდელირების სასწავლო ლაბორატორიის ბაზაზე აწარმოებენ.

„ჩვენი სტარტაპ იდეა მოიცავს კვლევას, რომელიც ეხება ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს ოპტიკური სპექტროსკოპიის გამოყენებით. ზოგადად, ოპტიკური სპექტროსკოპია აქტიურად გამოიყენება სამედიცინო სფეროში, თუმცა, ჩვენ მიერ შემუშავებულ ოპტიკური მხარ-გოჯის ინდექსს არ აქვს ანალოგი მსოფლიოში. მეთოდი არის სწრაფი და არაინვაზიური. ამ მეთოდის გამოყენება ასევე შესაძლებელია ეკოლოგიაში და სხვა მრავალ სფეროში“, – აღნიშნა ტსუ-ს სტუდენტმა, კვლევის ერთ-ერთმა ავტორმა ლუკა წულუკიძემ.

ტსუ-ს რექტორის ჯაბა სამუშიამ ინიციატივით, ფიზიკური პროცესების მოდელირების სასწავლო ლაბორატორიას ახალი კომპიუტერული ტექნიკა გადაეცემა, რომლის საშუალებითაც

ახალგაზრდა მკვლევრები შეძლებენ მონაცემთა შეგროვებას და დამუშავებას. „უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია ახალგაზრდების სამეცნიერო კვლევაში ჩართვა და მათი ნახაღისება. მზად ვართ, მხარი დავეჭიროთ მათ ინოვაციურ სამეცნიერო იდეებს და ხელი შევეწყობთ მათ მონაწილეობას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში“, – განაცხადა ჯაბა სამუშიამ.

„ჩვენი სტარტაპ იდეა მოიცავს კვლევას, რომელიც ეხება ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს ოპტიკური სპექტროსკოპიის გამოყენებით. ზოგადად, ოპტიკური სპექტროსკოპია აქტიურად გამოიყენება სამედიცინო სფეროში, თუმცა, ჩვენ მიერ შემუშავებულ ოპტიკური მხარ-გოჯის ინდექსს არ აქვს ანალოგი მსოფლიოში. მეთოდი არის სწრაფი და არაინვაზიური. ამ მეთოდის გამოყენება ასევე შესაძლებელია ეკოლოგიაში და სხვა მრავალ სფეროში“



## სოფიკო მღებრიშვილმა ჩვენი ქვეყნის ელჩის როლი მოირგო

ენო ჯაჯულია

ტსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) მე-3 კურსის სტუდენტმა სოფიკო მღებრიშვილმა გასული სასწავლო სემესტრი გერმანიის ვიადრინას ევროპულ უნივერსიტეტში გაიარა.

„გაცვლითი პროგრამის მონაწილის გზა კონკურსის წარმატებით გადალახვის შემდეგაც სირთულეებითაა სავსე, თუმცა საზღვარგარეთ სწავლა არის უზომოდ სანტიერესო და ქაოსით სავსე გამოცდილება, რომელიც ყველა მიმართულებით გზრდის და, პირველ რიგში, საკუთარ თავზე გასწავლის ძალიან ბევ-


რს. მთავარი მიზანი იქ გატარებული დროის მაქსიმალურად სასიამოვნოდ გატარება მგონია...“

დასაწყისში თითქოს საუკუნედ გეჩვენება 4 თვე, თუმცა როცა ყველაფერი ჩაივლის, ნოსტალგია და უკან დაბრუნების სურვილი რჩება.

დღემდე მაქვს და, დარწმუნებული ვარ, კიდევ დიდხანს მექნება იქ გაცნობილ საერთაშორისო სტუდენტებთან ურთიერთობა. ვფიქრობ, პროექტის მიზანიც ეს იყო... მეტად ტოლერანტული ხდები, მიმღებლობის უნარი გიძლიერდება სხვადასხვა კულტურის ადამიანების მიმართ და შენც, თავის მხრივ, ერთგვარი ქვეყნის ელჩის როლი გაქვს

მორგებული“, – ამბობს სოფიკო მღებრიშვილი, რომელიც თვლის, რომ ევროპის რომელიმე ქვეყანაში სწავლა მიზანდასახული და შრომისმოყვარე სტუდენტებისთვის სულაც არ არის წარმოუდგენელი.

დასაწყისში თითქოს საუკუნედ გეჩვენება 4 თვე, თუმცა როცა ყველაფერი ჩაივლის, ნოსტალგია და უკან დაბრუნების სურვილი რჩება



# ზურაბ თევდორაძის პირველი ნაბიჯები ლექტორობის გზაზე

ზურაბ (ზუკა) თევდორაძე, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორანტიურის პირველი კურსის სტუდენტი, პირველ ნაბიჯებს დგამს ლექტორობისკენ – როგორც ლექტორის ასისტენტი, იგი უკვე დამოუკიდებლად ატარებს სემინარებს.

ზუკა მიზანდასახული ახალგაზრდაა, რომელსაც სურს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი გახდეს.

ზურაბ (ზუკა) თევდორაძემ 2018 წელს ჩააბარა თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სადაც საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებაზე მოხვდა. თავდაპირველად არ ჰქონდა განსაზღვრული – კონკრეტულად რა განხრით ისწავლიდა, მაგრამ მეგობრების რჩევითა და შესავალი საგნების გავლის შემდეგ მიხვდა, რომ საზოგადოებრივი გეოგრაფია იყო ის მიმართულება, რაც აინტერესებდა და რომელსაც ბაკალავრიატის ოთხ წელს დაუთმობდა.

სწავლის პერიოდს დაემთხვა კორონა ვირუსი და პანდემია, რის გამოც უნივერსიტეტში სწავლა დისტანციურად გრძელდებოდა. ონლაინ რეჟიმზე გადართვის შემდეგ ზუკამ გადაწყვიტა – დაბრუნებულიყო წყალტუბოში და ამჯერად ტურიზმის სფეროში გამოეცადა



საკუთარი თავი. მან ქართულ, რუსულ და ინგლისურენოვან გიდად დაიწყო მუშაობა პრომეთეს მღვიმეში, სადაც 6 თვე იმუშავა და ამ 6 თვის განმავლობაში მიღებული ცოდნა და გამოცდილება სამაგისტრო ნაშრომის კვლევაშიც გამოიყენა: „პრომეთეს მღვიმეში მიღებული გამოცდილება ძალიან დამეხმარა სამაგისტრო თემაზე მუშაობისას (თემა – „ტურიზმის სექტორის გაფართოება წყალტუბოს მაგალითზე“). თამამად შემიძლია ვთქვა, რომ აქ მიღებული გა-

მოცდილებითა და შემდგომში ჩატარებული კვლევის საფუძველზე დაწერილი ჩემი სამაგისტრო ნაშრომი ახალ, საინტერესო და აქამდე უცნობ მასალებსაც შეიცავს“, – აღნიშნავს ზუკა.

სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექტორობის სურვილი ბაკალავრიატის პირველივე სემესტრიდან გაუჩნდა. მისი თქმით, „ეს, მეტწილად, მიმართულების ლექტორთა უმუშაობამ და პრაქტიკული მეცადინეობებისას თბილისსა თუ თბილისის მიღმა მეგობრებთან ერთად გატარებულმა საოცარმა დღეებმა განაპირობა“. ამიტომ, ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ სწავლა მაგისტრატურაზე ისევ საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებით, უფრო კონკრეტულად კი, ტურიზმის განხრით განაგრძო.

ზუკა იმასაც უსვამს ხაზს, რომ თავად ლექტორებიც მაქსიმალურად უწყობენ ხელს მიზნისკენ სწრაფვაში. მისი ხელმძღვანელი (სამაგისტრო და ახლა უკვე სადოქტორო მიმართულებით) ია იაშვილი ამბობს, რომ „ზურა თევდორაძე საკმაოდ მიზანდასახული სტუდენტი. ამის დასტურია ის, რომ მან წელს ჩააბარა თსუ-ში ჩვენი მიმართულების დოქტორანტურაში. დაკისრებულ მოვალეობებს ეკიდება დიდი პასუხისმგებლობით. ის თავის სამეცნიერო ასპარეზზე ჯერ პირველ ნაბიჯებს დგამს. ცოტა ხნის

წინ, როცა საერთაშორისო კონფერენციაზე მომინა ყოფნა, კარგად გაართვა თავი სასემინარო აქტივობას ტურიზმის სკოლის პირველკურსელებთან. სამომავლოდ, დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში, პროფესორის ასისტენტის რანგში, ის სტუდენტებთან აკადემიური ურთიერთობის კარგ გამოცდილებას შეიძენს. დისერტაციის დაცვის შემდეგ კი შეუძლია – დამოუკიდებლად გაუძღვეს სალექციო-სასემინარო პროცესს“.

რაც შეეხება ზუკას სამომავლო გეგმებს, გააზრებული აქვს, რომ მისი მიზნისკენ მიმავალი გზა მარტივი არ არის. საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება საკმაოდ კვალიფიცირებული ლექტორებით არის დაკომპლექტებული, რის გამოც ვინმეს ნაცვლად საკუთარი თავის წარმოდგენა უჭირს. თუმცა, იგი დარწმუნებულია, რომ დაუღალავი შრომით შეძლებს საკუთარი მიზნის მიღწევას და ლექტორების გვერდით მუშაობას.

**ქეთა გველესიანი  
მარიამ მახარაშვილი**

*თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის უფროსისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულების სტუდენტები*

## პირველი ქართული უნივერსიტეტის პირველ სტუდენტზე წიგნი-ალბომი გამოიცა

შურთხია ბაროშვილი

„მედეა ლამბაშიძე – პირველი ქართული უნივერსიტეტის პირველი სტუდენტი“ – ამ სახელწოდებით გამოიცა წიგნი-ალბომი, რომლის პრეზენტაციაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. გამოცემა ქართული ემიგრაციის სახელოვან წარმომადგენელს მიეძღვნა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტის) პირველი სტუდენტი გახლდათ. 1918 წელს პირველი სტუდენტური ბარათი სწორედ მის სახელზე გაიცა. მედეა ლამბაშიძემ მხოლოდ სამი სასწავლო კურსის გავლა შეძლო, ვინაიდან, საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ იძულებული იყო ოჯახთან ერთად ქვეყანა დაეტოვებინა. მან ემიგრაციაში უაღრესად საინტერესო ცხოვრება განვლო, 1975 წელს კი საფრანგეთში გარდაიცვალა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ წიგნი-ალბომის პრეზენტაციაზე აღნიშნა, რომ წიგნი გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს არა მხოლოდ ერთი ადამიანის, არამედ ეპოქის ისტორი-

**“**  
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ წიგნი-ალბომის პრეზენტაციაზე აღნიშნა, რომ წიგნი გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს არა მხოლოდ ერთი ადამიანის, არამედ ეპოქის ისტორიის, იმდროინდელი ცხოვრების წესსა და ადამიანების შეხედულებებს სხვადასხვა საკითხის მიმართ**  
**”**



ას, იმდროინდელი ცხოვრების წესსა და ადამიანების შეხედულებებს სხვადასხვა საკითხის მიმართ.

„თსუ ყოველთვის იყო და იქნება იმის მაგალითი, როგორ უნდა უპატრონოს ერმა საკუთარ ისტორიას. ეს წიგნი არის ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპოქის – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრების ილუსტრაცია“, – განაცხადა ჯაბა სამუშიამ. მან შესანიშნავი ალბომისთვის განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა საქართველოს ფოსტასა და თსუ-ს




ბიბლიოთეკას, მის ხელმძღვანელსა და წარმომადგენლებს.

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ზურაბ გაიპარაშვილის თქმით, წიგნი მკითხველი გაეცნობა მედეა ლამბაშიძის ცხოვრებას, თსუ-ს 50 წლის საიუბილეოდ მომზადებულ სტატიას, ჩანაწერებს მისივე პირადი დღიურიდან, ასევე, საქორწინო მისალოც წერილებსა და დეპეშებს, პირველი ვაჟის – რეზიკოსადმი მიძღვნილ ეპოციურ დღიურს, მეგობრების ჩანაწერებს, 1921 წლის ქართველი ემიგრაციის შთამომავალთა მოგონებებს მედეას შესახებ, ასევე, ოფნდი „ტასოს“ მხარდაჭერით მომზადებულ „ქალთა მეხსიერების“ ზეპირი ისტორიების ციკლს. წიგნი დაბეჭდილია მხატვრული ნაწარმოები – „პირველი თოვლი“, რომელიც მედეას ქალიშ-

ვილის – ნათელა ნიკოლაძის მოსაზრებით, დედამის ეკუთვნის. მკითხველი, ასევე, გაეცნობა მნიშვნელოვან ფოტო-მასალას, რომლის დიდი ნაწილი პირველად ქვეყნდება.

წიგნი-ალბომი – „მედეა ლამბაშიძე – პირველი ქართული უნივერსიტეტის პირველი სტუდენტი“ – საქართველოს ფოსტის მხარდაჭერით გამოიცა. ლონისძიების ფარგლებში რექტორმა ჯაბა სამუშიამ საქართველოს ფოსტის გენერალური დირექტორი ლევან ჩიკვაიძე უნივერსიტეტის მხარდაჭერასა და პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის უნივერსიტეტის ოქროს მედლით დააჯილდოვა.

ლონისძიებაზე თსუ-ს ბიბლიოთეკის „მეგობართა კლუბის“ წევრებმა მედეა ლამბაშიძის დღიურები წაიკითხეს.



# „უნივერსიტეტის კარი თქვენთვის ყოველთვის ღია იქნება“

მაია ტორაძე

თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ თსუ-ს კანცლერთან, ლაშა სალინაძესთან ერთად უნივერსიტეტის ღვანლმოსილი თანამშრომლები მედლით დააჯილდოვა. რექტორმა მათ მადლობის სიტყვები და სამსახურო საჩუქრებიც გადასცა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ასაკობრივ საპენსიო ასაკს მიღწეულმა უნივერსიტეტის იმ ადმინისტრაციულმა და დამხმარე პერსონალმა, რომელმაც ნებაყოფლობით არჩევანის საფუძველზე უნივერსიტეტიდან წასვლა გადაწყვიტა, უნივერსიტეტისგან ჯილდოს სახით ფულადი კომპენსაცია მიიღო.



უნივერსიტეტიდან წასვლის სურვილი 30-მდე თანამშრომელმა გამოხატა და სწორედ მათი გაცილების საღამოზე ითქვა ის დასაბამსოვრებელი სიტყვები, რამაც, ალბათ, ყველას გული გაუთბო.

„გვინდა ჩვენი ღვანლმოსილი თანამშრომლები დავაჯილდოვოთ და ქედი მოვიხაროთ მათი შრომის წინაშე. ისინი კვლავინდებურად იქნებიან იმ დიდი ოჯახის წევრები, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰქვია. უნივერსიტეტელობა არის ის ტვირთი და ჯილდოც, რომელსაც ვერავინ ჩამოგვართმევს. თითოეული თქვენგანის მიმართ გამოვხატავ ჩემს ღრმა პატივისცემას. სწორედ თქვენ ხართ იმ ღამეზე გარემოს შემქმნელები, სადაც სტუდენტებს უხარიათ ყოფნა და ამისთვის დიდი მადლობა“, – აღნიშნა ჯაბა სამუშიამ.

„თქვენი რჩევა-დარიგება ძალიან მნიშვნელოვანი იყო და იქნება ჩვენთვის. მინდა, ძალიან დიდი მადლობა გადაგიხადოთ, რომ ათეულობით წელი მოღვაწეობდით უნივერსიტეტის განვითარებისთვის, უამრავი ახალგაზრდა აღზარდეთ უნივერსიტეტში. ეს ჯილდო, რომელიც უნივერსიტეტმა გაიღო, არის მინიმალური, რაც შეგვეძლო გაგვეკეთებინა თქვენი ღვანლის დაფასებისთვის. თქვენთვის უნივერსიტეტის კარი მუდამ ღია იქნება“, – აღნიშნა თსუ-ს კანცლერმა ლაშა სალინაძემ.

კესო ფურცელაძე, სვეტლანა ბასილია, ლამარა გეგუჩაძე, აველინა დავითულიანი, თენგიზ სირაძე, იზოლდა შუბლაძე, ნუგზარ თავაძე, ალექსანდრე უნაფქოშვილი, ელენორა კაჭარავა, მარინე მერკვილაძე, მანანა აბზიანიძე, მაგალი გოცირიძე, თამარ ქადაგიშვილი, როზა დვალი, თამაზ ბარაბაძე, იზოლდა კიკნაძე, დავით ჩეკურიშვილი, ლალი დათუაშვილი, მაია ოქიტაშვილი, ელენე გიგუაშვილი, გენადი ომიაშვილი, მარინა ახმეტელი, გერმან აკობიძე, თამარ ლალიძე, ელზა ლორთქიფანიძე, რუსუდან რუსიშვილი – ეს ის სახელები

ბი და გვარებია, რომლებიც გაცილების საღამოზე რექტორმა წარმოთქვა და უნივერსიტეტისათვის გაღებული მათი განსაკუთრებული წვლილის შესახებ ისაუბრა. ყველა მათგანის ფიქრები, ალბათ, ისევ უნივერსიტეტს დასტრიალებს დღესაც, რადგან აქედან წასვლა რთულია...

\*\*\*

**თენგიზ სირაძე** ერთ-ერთი მათგანია, ვინც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის ფარგლებში, როგორც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ასაკობრივ საპენსიო ასაკს მიღწეულმა, უნივერსიტეტიდან წასვლა გადაწყვიტა. მან უნივერსიტეტისგან ჯილდოს სახით ფულადი კომპენსაცია მიიღო და, როგორც ღვანლმოსილი თანამშრომელი, მედლით დააჯილდოვდა.

„უნივერსიტეტიდან წასვლა გადაწყვიტე ასაკობრივი და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. უნივერსიტეტის რექტორატის შეთავაზება და მათი მხრიდან მადლიერების გამოხატვა ჩემთვის დამატებითი სასიამოვნო იყო. ჩემთვის უნივერსიტეტი იყო და არის საქართველოს ახალგაზრდობის განათლების კერა, რომელსაც ჩვენი სტამბის სამუშაო პროცესით ხელს ვუწყობდით. რა თქმა უნდა, გული მწყდება უნივერსიტეტის ყოველდღიურ ცხოვრებასთან ურთიერთობის შეწყვეტის გამო, მაგრამ სასიამოვნოა, როდესაც თსუ-ს სხვადასხვა მიმართულების თანამშრომლები ხშირად მეხმიანებიან მოკითხვის და რჩევების მისაღებად“, – ამბობს თენგიზ სირაძე, რომელიც უნივერსიტეტის სტამბაში კოორდინატორად 12 წლის მანძილზე მუშაობდა.

ჩვენ გაზეთში ყველა მათგანზე დავწერთ, რათა გაზეთის ფურცლებზეც შემოინახოს ამ დიდებული ადამიანების სახელები, რომელთაც ამიერიდან დაფასებასა და თბილ სიტყვებზე მეტად არაფერი სჭირდებათ.

## წლები მხოლოდ ციფრებია!

დაარსებიდან იღბალი დაჰყვა უნივერსიტეტს – არსებობის ისტორიაში, მშვიდობასა თუ ძნელბედობაში, გამოუჩინებლად ხოლმე ადამიანები, რომლებიც თავდაუზოგავი შრომითა და უნივერსიტეტის იდეისადმი უცნაური პატივისცემით გამოირჩეოდნენ. მათ საკუთარი მხრებით ატარეს ქართული აზრის, განათლებისა და მეცნიერების აკვანი...

და ეს ადამიანები არ იყვნენ მხოლოდ საზოგადო მოღვაწენი ან მეცნიერნი, ისინი არ ხმაურობდნენ, უჩუმრად აკეთებდნენ თავიანთ საქმეს და ამით ამტკიცებდნენ, რომ უნივერსიტეტი არც მხოლოდ პროფესორია, არც მხოლოდ სტუდენტი და არც მხოლოდ ერთეული ჩინოვნიკი – უნივერსიტეტი ის ადამიანებისაა, რომლებიც ყველაზე რუტინულ, მაგრამ აუცილებელ და, შესაძლოა, მოსაწყენ საქმესაც ისეთი სიამაყით უძლებიან, როგორც ეს უნივერსიტეტს შეეფერება.

ერთ ასეთ ადამიანზე მინდა მოგიხსნათ.

იზო კიკნაძეს უნივერსიტეტის თითქმის ყველა სტაჟიანი თანამშრომელი იცნობს – მას „კადრების იზოთი“ მოიხსენებენ, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ეს ადამიანი მართლა უნივერსიტეტის მემკვიდრეა და თითქმის ნახევარი საუკუნეა, ერთგულად ემსახურება საუნივერსიტეტო საქმეს.

როცა ხარაგაულის პატარა სოფელ სალანდის სკოლაში სწავლობდა, ალბათ არ უფიქრია იმაზე, რომ მთელ ცხოვრებას დიდი მეცნიერების გვერდით გაატარებდა და ბევრი მათგანისთვის სანდო



თანამშრომელი გახდებოდა. მაშინ დედას – დაწყებითი სკოლის პედაგოგსა და მამას – დამსახურებულ რკინიგზელს – ეხმარებოდა უმცროსი ძმების – ვახტანგისა და გელას აღზრდაში. მერეც – როცა ხარაგაულის N2 საშუალო სკოლაში განაგრძო სწავლა, ნიჭიერი და შრომისმოყვარე მოსწავლე მალევე მოექცა მასწავლებლების ყურადღების ცენტრში, განსაკუთრებით უყვარდა ფიზიკა, მათემატიკა და უცხო ენები... მომავალი პროფესიაც სიყვარულით აირჩია და ჩაირიცხა კიდეც ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში. ოცნებებში ალბათ დედასავით პედაგოგობა სურდა, ანაც საერთაშორისო ასპარეზზე ხედავდა მომავალს, მაგრამ ერთმა ნაბიჯმა სრულიად შეცვალა მისი ცხოვრება – 1976 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში შემოგდა ფეხი და მას შემდეგ ეს კედლები, ეს საოცარი აურა, რაც ამ კედლების შიგნით ტრიალებს, ქალბატონი იზოს ცხოვრების ნაწილად იქცა.



იზო კიკნაძე

აკი ვთქვით, ერთგულეა სიყვარული და თავდადებაა-თქო და ისიც ამ სიყვარულით და თავდადებით ემსახურება საუნივერსიტეტო საქმეს – ხშირად ასრულებდა კადრების განყოფილების უფროსის მოვალეობას, რადგან სანდო, საიმედო და პატიოსნებით გამორჩეული თანამშრომელი იყო. ამ წლების განმავლობაში ის არაერთხელ დაუჯილდოვებიათ დიპლომებითა და სიტყვებით, არაერთი სპეციალური მადლობა მიუღია, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო ის სიყვარულია, რომელიც უნივერსიტეტსა და თანამშრომლებში მოიპოვა – ვისაც არ უნდა უხსენო „კადრების იზო“, ყველა იცნობს და მოწიწებით და პატივისცემით მოიხსენიებს მას.

ვერც კი მიხვდებით, რომ უნივერსიტეტის დერეფნებში ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ამ კაფანდარა ქალს წლები ამძიმებს – ის დღესაც ისეთივე ენერგიული, პასუხისმგებელია, სანდო და ერთგული თანამშრომელია, როგორც თითქმის ხუთი ათეული წლის წინ შემოაბიჯა უნივერსიტეტში. ძმისშვილებს – ლელას, ნიას და ნიკას საკუთარ შვილებად მიიჩნევს, მისი ცხოვრების ყველაზე დიდი ადამიანები კი შვილიშვილები – ლუკა და ნანუკა არიან... „ჩემთვის და გელასთვის იზო უფროსი დაც იყო და აღმზრდელიც... მამას ჰგავდა – მუდმივად ღიმილიანი და საქმისადმი თავდადებული და ასე მოვიდა აქამდე – მისთვის მთავარი იყო და არის უნივერსიტეტი“, – ამბობს ბატონი ვახტანგი.

მადლიერება მარტო ადამიანებს არა – უნივერსიტეტსაც ამშვენებს და ალბათ მადლობა უნდა ვუთხრათ შრომისა და ერთგულებისთვის ერთ-ერთ გამორჩეულ უნივერსიტეტელს – ქალბატონ იზო კიკნაძეს ყველაზე რუტინული, მაგრამ აუცილებელი და, შესაძლოა, მოსაწყენ საქმის ისეთი სიამაყით შესრულებისთვის, როგორც ეს ქვემოთ უნივერსიტეტელს შეეფერება! ამ შემთხვევაში სწორედაც რომ მასზეა ნათქვამი – დი-ახ, წლები მხოლოდ ციფრებია!



# როდის დაინერგება კანონპროექტის განმარტებითი ბარათის შინაარსის ახალი სტანდარტები

ენიო ხაუალია

თსუ-ს ასოცირებულმა პროფესორმა ვასილ გონაშვილმა უკვე დაასრულა იმ საგრანტო პროექტზე მუშაობა, რომელიც კანონპროექტების დასაბუთების სტანდარტების სრულყოფას ითვალისწინებს. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში გამოიკვეთა ის პრობლემები, რაც საქართველოს კანონმდებლობით პროცესს ახლავს თან. როგორც ვასილ გონაშვილი აღნიშნავს: „ხშირად კანონპროექტის განმარტებითი ბარათი არასრულყოფილად არის შედგენილი და ხშირია შემთხვევები, როდესაც პარლამენტი იღებს მართლაც საჭირო კანონს, მაგრამ ვერ ხდება სი-ახლეების მოსახლეობამდე სწორად მიტანა, მოსახლეობისთვის დადებითი მახასიათებლების სრულად ახსნა. ამის უპირველესი მიზეზი დასაბუთების არასრულყოფილი ფორმაა“. აღნიშნული საკითხების სიღრმისეულად შესწავლისა და კვლევითი სამუშაოების ჩატარების შედეგად მიღებულ დასკვნებს პროექტის ხელმძღვანელი **ვასილ გონაშვილი** გვიზიარებს:

– თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე გაიმართა საგრანტო პროექტის – „ნორმატიული აქტის პროექტის დასაბუთების ფორმის შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობასთან“ – შედეგების პრეზენტაცია. პროექტზე მუშაობისას რა პრეცედენტები შეისწავლეთ, რაც განმარტებითი ბარათში კანონპროექტის შინაარსის დამახინჯებასთან იყო დაკავშირებული? რა რისკები არსებობს?

– ძირითადი პრობლემა არის არა კანონპროექტის შინაარსის დამახინჯება, არამედ განმარტებითი ბარათის არასრულყოფილება და, ასე ვთქვათ, ზერელე ხასიათი. განმარტებითი ბარათში გამოკვეთილი უნდა იყოს საკითხთა ის წრე, რომელზე პასუხითაც დაინტერესებული პირი მიიღებს სრულ ინფორმაციას – მასში უნდა იყოს ახსნილი მისი მიღების მიზანი, შედეგები, ხარჯები და სხვ. დასაბუთების ფორმა უნდა იყოს იმგვარი, რომ კანონპროექტის ავტორი აიძულო ყველა დეტალურ საკითხზე გამახვილოს ყურადღება. ჩვენ შევისწავლეთ ევროპის 30 ქვეყნის გამოცდილება, უშუალოდ განმარტებითი ბარათები,



მათი წერის სტანდარტები, კანონპროექტის პარლამენტში წარდგენის ფორმა. არის ქვეყნები, რომელთაც კანონის ხარისხის სახელმძღვანელო დოკუმენტები აქვთ დამტკიცებული, რაც, რა თქმა უნდა, ეხმარება მათ სრულყოფილი დასაბუთების დანერგვაში, მაგალითად, დანიაში, გერმანიაში...  
– განმარტებითი ბარათის სწორი ფორმულირების თქვენეული ხედვა გაგვიზიარეთ, რაც თქვენი პროექტის ფარგლებში ჩამოგიყალიბდათ...  
– პროექტის ფარგლებში მომზადდა არა მხოლოდ სხვა ქვეყნების ანალიზი, არამედ გამოიყო ის პრიორიტეტული

მიმართულებები – ყურადღაღები რეგულაციები, რაც საქართველოში არ გვაქვს, მაგრამ მათი დანერგვის შემთხვევაში უკეთეს მოდელს მივიღებთ. განმარტებითი ბარათის ახალი ფორმა მომავალი განხილვის საგანია. ამ ეტაპზე წარმოგაჩინე ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რაც გაზიარების შემთხვევაში მართლაც რომ წაადგება ჩვენი ქვეყნის სამართალშემოქმედების პროცესს.

– რა პრობლემებს გამოკვეთით, რაც ჩვენი კანონმდებლობის ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას ითვალისწინებს?

– ვერ ვიტყვი, რომ საქართველოში არსებული დასაბუთების ფორმა – განმარტებითი ბარათი – მხოლოდ უარყოფითად უნდა შეფასდეს; მასში არის მრავალი დადებითი ელემენტიც. ევროპაში გვხვდება ისეთი ქვეყნებიც, რომელთაც საერთოდ არ აქვს დამტკიცებული განმარტებითი ბარათის ფორმა და მისი შინაარსი დამოკიდებულია კანონმდებლის ნებაზე ან იმ ქვეყანაში არსებულ საკანონმდებლო ტრადიციებზე. თუმცა, განმარტებითი ბარათის უკეთესი მოდელის დანერგვა უფრო უკეთ წარმოგვაჩენდა სრულყოფილი სამართალშემოქმედების პროცესის მიმართულებით. საუკეთესო გამოცდილე-

ბა აქვს გერმანიას, ავსტრიას და სკანდინავიის ქვეყნებს. რამდენიმე ქვეყნის პარლამენტის გამოცდილება ადგილზე შევისწავლე, რამაც უფრო ნათელი გახდა ქვეყნების დამოკიდებულება კანონმდებლობის პროცესისადმი. პირველ რიგში, მისაღები გვაქვს კანონპროექტის წერის ტექნიკის სახელმძღვანელო, სადაც განვიხილეთ იქნება ნორმის ჩამოყალიბების ტექნიკა, სამართლებრივი ენა, ტერმინოლოგიური ასპექტები, ენობრივი თავისებურებები, განმარტებითი ბარათში დასაბუთებული თითოეული პუნქტის ახსნა-განმარტება. ასევე, აუცილებელია განმარტებითი ბარათის ფორმის დახვეწა და მუხლობრივი შინაარსობრივი საკითხების წამოწევა. ასევე, გასათვალისწინებელია ავსტრიული გამოცდილება ძველ და ახალ ვარიანტებს შორის შედარების გაკეთების შესახებ და სხვ.

– თქვენი პროექტის შედეგების პრაქტიკაში დანერგვის რა შესაძლებლობები არსებობს?

– არ უნდა ვიჩქაროთ. ამ ეტაპზე ნამოვნით საკითხი, რაც რამდენჯერმე განვიხილეთ სამართალშემოქმედების პროცესით დაინტერესებულ პირთა წრეში. მან დიდი ინტერესი გამოიწვია. განმარტებითი ბარათის სტანდარტებზე არ არსებობს რაიმე ლიტერატურა ან სამეცნიერო ნაშრომი საქართველოში. ქვეყნების დიდ ნაწილში განმარტებითი ბარათები მხოლოდ ეროვნულ ენაზეა წარდგენილი და არ ითარგმნება ინგლისურად. კვლევა მომზადებულია უშუალოდ პარლამენტების პრაქტიკის საფუძველზე, გამოკვლეულია პარლამენტში წარდგენილი განმარტებითი ბარათები, მათ შორის, დიდი ნაწილი ეროვნულ ენაზე, რაც სირთულეებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ კვლევას უფრო საინტერესოს და პრაქტიკულს ხდის. ამიტომ, ვფიქრობ – ზემოთ აღნიშნული თემები ჯერ ამ სფეროს სპეციალისტების ფართო წრეში უნდა გახდეს განხილვის საგანი და შემდეგ შესაძლოა ვიფიქროთ გარკვეულ საკანონმდებლო ცვლილებებზეც.

მნიშვნელოვანია, რომ პროექტი დაფინანსებული იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, რაც ხაზს უსვამს სამინისტროს, როგორც მთავარი სამართალშემოქმედის, განსაკუთრებულ ინტერესს და როლს ამ პროცესში.

## მოსაზრება

თუ ვინმეს ეკუთვნის საერთაშორისო დღის აღნიშვნა და მილოცვა, ალბათ, უპირველესად, მეცნიერს, რადგან მეცნიერება თავისი მრწამსითა და დანიშნულებით საერთაშორისო ფენომენია. მეცნიერი მაშინ არის ღირებული, თუ მან შეიმუშავა თავისი დარგის საერთაშორისო მიღწევები და საკუთარი მიგნებებითა და აღმოჩენებით მოიპოვა იქ აღიარება, რაც, ბუნებრივია, მისი სამშობლოს ეროვნულ ინტერესებს ემსახურება. ამიტომაცაა, რომ მეცნიერებათა აკადემიის შექმნის დღიდან მოყოლებული დღემდე, აკადემიკოსად არჩევის წამყვანი მოთხოვნაა — საერთაშორისო აღიარება.

ეს ყოველივე ზემოხსენებული მარტივად არ მოდის. და მაინც, ფაქტია, რომ დღევანდელ საქართველოში ღირებული მეცნიერი არაა სათანადოდ დაფასებული, ხოლო მეცნიერება არაა პრიორიტეტული. და თუ ეს ასე არაა, რატომ არა აქვს მეცნიერებას თავისი სატელევიზიო

## მეცნიერება – საერთაშორისო ფენომენია



არხი ან რუბრიკა მაინც საზოგადოებრივ ტელე-არხზე? ან იქნებ თავად მეცნიერმა უღალატა, გარკვეულწილად, თავის პროფესიას და მისი მიღწევებით

დიდად ვერ იამაყებს სამშობლო? ალბათ, ერთიც და მეორეც, თუმცა, ორივე თანაბრად სანუხარია, მითუმეტეს, რომ პირველი მეორეთა განპირობებული, ხოლო მეორე — პირველით.

ამ ბოლო წლებში აკადემიკოს-მდივნის ელიზბარ ჯაფელიძის ძალისხმევით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ კვლავ ააღორძინა ჟურნალ „მაცნე“ პერიოდული გამოცემა სერიით „ენა, ლიტერატურა და ხელოვნება“, სადაც მრავალი მნიშვნელოვანი სამეცნიერო სტატია ქვეყნდება. მქონდა პატივი, სამ ნომერში გამოემქვეყნებინა ჩემი მიგნებები რუსთველოლოგიაში. შემდგომი ამოცანაა, გავიტანო ეს ყოველივე საერთაშორისო ასპარეზზე, რათა მსოფლიო ლიტერატურის საერთო კონტექსტში ბუმბერაზი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის სახელი კიდევ უფრო მეტი სიდიადით აღიბეჭდოს, მითუმეტეს, რომ ჩემი მიგნებები ლინგვისტიკაში, ბაირონოლოგი-

ასა და თავად გალაკტიონოლოგიაში თავის დროზე სწორედ დასავლეთში აღიარა. ამის გამოძახილია ის ფაქტიც, რომ გალაკტიონი ჩემს ინგლისურ თარგმანში ლონდონში არაერთხელ გამოიცა, ხოლო გალაკტიონის 120 წლისთავიც სწორედ ლონდონმა აღნიშნა მაღალ დონეზე. ამასთანავე, იმედს ვიტოვებ, რომ ჩემი რუსთველოლოგიური კვლევის დამკვიდრებასა და პოპულარიზაციას საქართველოში უპირველესად ჩვენი მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ითავებს. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გენიოს პოეტს ისევე „რუსთველი“ ეწოდება, ანუ ისე, როგორც მან პოემაში უწოდა საკუთარ თავს და არა „რუსთაველი“, რაც მხოლოდ მე-18 საუკუნეში შემთხვევითი გაუგებრობის გამო მოხდა.

**ინესა მირაზიშვილი**  
თსუ-ს პროფესორი, აკადემიკოსი

# თსუ-ს მეცნიერთა კვლევის საერთაშორისო აღიარება

თამარ ლალიანი

გერმანიის ქალაქ კიოლნიში (7-13 ოქტომბერს) გამოყენებით მეცნიერებათა საერთაშორისო უნივერსიტეტში (IU of Applied Sciences) ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია (ISPC 2024) „ციფრული მენეჯმენტი და ხელოვნური ინტელექტი“. სამეცნიერო კონფერენცია ორგანიზებული იყო კიოლნის ელექტრონული კომერციის ინსტიტუტის (კიოლნი, გერმანია), აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (თბილისი, საქართველო), ადელფის უნივერსიტეტის (გარდენ სიტი, ნიუ იორკი, აშშ) და გამოყენებით მეცნიერებათა საერთაშორისო უნივერსიტეტის (კიოლნი, გერმანია) მიერ. კონფერენციაზე წარმოდგენილ 7 თემატურ სესიაში მონაწილეობდა 70 მომხსენებელი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

კონფერენციაზე სამეცნიერო მოხსენება წარადგინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმაც – პროფესორ ეთერ ხარაიშვილი-



რებისა და სასურსათო უსაფრთხოების მიზნების მიღწევის თვალსაზრისით. ციფრიზაცია შეფასებულია, როგორც ინდუსტრიის მოდერნიზაციისა და პროგრესის საფუძველი. აღსანიშნავია ავტორების მიერ განხორციელებული ბიბლიომეტრიული კვლევის ანალიზი (SLR), რომლითაც გამოვლინდა საკვლევო ფოკუსის შესაბამისი კვლევის ძირითადი მიმართულებები; შეფასდა კვლევის პროცესის ევოლუციური განვითარება; მოხდა კვლევითი კლასტერების იდენტიფიცირება ქვეყნებისა და დომინანტური პუბლიკაციების ავტორების მიხედვით; შეფასდა მეცნიერთა განსხვავებული მოსაზრებები ციფრიზაციის კონცეფციების შესახებ. ბიბლიომეტრიული კვლევა ჩატარებულია Canva-ს, VOSviewer-ის, Datawrapper-ისა და Bibliometrix-ის პროგრამების საშუალებით, ხოლო საკვლევ ბაზად გამოყენებულია Scopus-ისა და Web of Science-ის, ასევე, Datareportal-ის ბაზები.

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ ციფრიზაცია განვითარების ახალ პერსპექტივებს ქმნის აგროსასურსათო ინდუსტრიის განვითარებაში. გაკეთებული დასკვნის საფუძველზე, თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელია დასახლებული ინდუსტრიის მდგრადობის მიღწევა და მწარმოებლურობის ამაღლება. კვლევაში მოცემულია რეკომენდაციები აგროსასურსათო ინდუსტრიაში ციფრიზაციის განვითარების შესაძლებლობებზე.

კონფერენციაზე წარდგენილი სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნდება Scopus-ში ინდექსირებულ სპრინგერის გამოცემაში – „Springer Proceedings in Business and Economics (SPBE)“.

სამეცნიერო მივლინების პერიოდში ავტორებმა კონფერენციის მონაწილეებს გააცნეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო მიღწევები, დასახეს სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები უცხოელ მკვლევრებთან და პროფესიული კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლებთან.

— “ —  
**კონფერენციაზე სამეცნიერო მოხსენება წარადგინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმაც – პროფესორ ეთერ ხარაიშვილის, ასოცირებული პროფესორის ია ნაცვლიშვილისა და ასისტენტ-პროფესორის თამარ ლაზარიაშვილის მოხსენებამ – „აგროსასურსათო ინდუსტრიის ციფრიზაცია: გამოწვევები და შესაძლებლობები მდგრადი განვითარებისათვის“ – დიდი ინტერესი გამოიწვია და ის კონფერენციის ორგანიზატორების მიერ საუკეთესო კვლევით ნაშრომად იქნა აღიარებული**

ლის, ასოცირებული პროფესორის ია ნაცვლიშვილისა და ასისტენტ-პროფესორის თამარ ლაზარიაშვილის მოხსენებამ – „აგროსასურსათო ინდუსტრიის ციფრიზაცია: გამოწვევები და შესაძლებლობები მდგრადი განვითარებისათვის“ – დიდი ინტერესი გამოიწვია

და ის კონფერენციის ორგანიზატორების მიერ საუკეთესო კვლევით ნაშრომად იქნა აღიარებული. სტატიამ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ციფრიზაციის მნიშვნელობაზე საქართველოს აგროსასურსათო ინდუსტრიის განვითარების მიერ საუკეთესო კვლევით ნაშრომად იქნა აღიარებული.



## სერიის – „ქართული ენათმეცნიერების მოამაგენი“ – 2 წიგნი გამოიცა

ნინო ჯაფარიძე

„ჩვენთვის, ადამიანებისათვის, საჭიროა იმისთანა კაცია, რომ მის მიხედვით და მისი მაგალითით შევიძლოთ საკუთარი ხასიათის განვითარება და განმტკიცება. ო, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის ჩვენ, არამედ თავისი სახელის სხენებითაც... ილია ჭავჭავაძის ამ შეგონებით დაიწყო პროფესორმა გიორგი გოგოლაშვილმა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ ახლახან გამოცემული წიგნების წარდგინება. საუბარია ახალი საგამომცემლო სერიის – „ქართული ენათმეცნიერების მოამაგენი“ შესახებ. სერიის მთავარი რედაქტორია ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ნანა მაჭავარიანი.

ამ გამოცემის იდეის ავტორმა და პირველი ორი წიგნის შემდგენელ-რედაქტორმა გიორგი გოგოლაშვილმა აღნიშნა, რომ „ქართული ენათმეცნიერება მყარ ნიადაგზე დადგა და საერთაშორისო აღიარება მოიპოვა ისეთი მეცნიერების წყალობით, როგორებიც იყვნენ: იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, გიორგი



გიორგი გოგოლაშვილი

ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, ქეთევან ლომთათიძე, გიორგი როგავა, ივანე გიგინეიშვილი, ბესარიონ ჯორბენაძე და სხვები... ასეთი პიროვნებები (დიდი ილიას შეგონებისა არ იყოს) არამც თუ ჩვენთან ყოფნით, არამც თუ მათი ნაღვანის გახსენებით, არამედ მათი სახელის სხენებითაც კი გვწვრთნიან და განამტკიცებენ ჩვენს

სულიერებას! ეს ფაქტი იქნა გათვალისწინებული, როცა გადაწყდა ამ სერიის გამოცემა“.

შემუშავდა სქემა, რომელიც ითვალისწინებს შეძლებისდაგვარად თითოეული ამ მეცნიერის ყოველმხრივ გაცნობა-წარმოჩენას: „წიგნის პირველ ნაწილში წარმოდგენილია მეცნიერის ცხოვრება-მოღვაწეობის ძირითადი თა-

რილები და ფაქტები; შემდეგ ნაწილს დაერქვა „შტრიხები პორტრეტისათვის“; მკითხველს ამაგდარი მოღვაწე გაეცნობა – როგორც პიროვნება, მოღვაწე, მასწავლებელი, ხელმძღვანელი... ძირითადი ნაწილი წიგნისა დაეთმობა მის სამეცნიერო მოღვაწეობას; ამ შემთხვევაში გამოვეყოფთ და გავხაზავთ ყველა მიმართულებას, სადაც კი მეცნიერს თავისი კომპეტენტური სიტყვა უთქვამს... წიგნს დაერთვის მეცნიერის ძირითადი შრომების ბიბლიოგრაფია“, – აღნიშნა გიორგი გოგოლაშვილმა.

სერიის გამოცემისას ქრონოლოგიური პრინციპი არ (უფრო სწორად, ვერ) იქნება დაცული... გამოსაცემი წიგნების მომზადება ამ „პრინციპით“ დაიწყო: 2021 წელს გაიმართა ვარლამ თოფურიასადმი, ხოლო 2022 წელს ბესარიონ ჯორბენაძისადმი მიძღვნილი საიუბილეო-სამეცნიერო კონფერენციები. პირველი წიგნი მიეძღვნა ვარლამ თოფურიას, მეორე – ბესარიონ ჯორბენაძეს. ამ წიგნებში შესულია კონფერენციის მასალებიც.

„ქართული ენათმეცნიერების მოამაგენი“ მომდევნო წიგნი იოსებ ყიფშიძეს მიეძღვნება.



# თსუ-ში მეცნიერების საერთაშორისო დღე აღინიშნა

10 ნოემბერი მეცნიერების საერთაშორისო დღეა. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის“ გამარჯვებულების, ასევე, ახალგაზრდა და ღვანლმოსილ მეცნიერთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

ლონისძიებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა ალექსანდრე წულაძემ, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა, დაჯილდოების მონაწილეებს მეცნიერების საერთაშორისო დღე მიულოცა და ქვეყნის განვითარების კუთხით მეცნიერების სფეროს ხელშეწყობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ლონისძიების ფარგლებში მოსწავლე გამომგონებელთა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის“ გამარჯვებულებს – გრანპრის მფლობელ I, II და III ადგილებზე გასულ მოსწავლეებს გადაეცათ პრიზები და ფულადი ჯილდოები. კერძოდ, გრანპრის მფლობელი პროექტის – „ეკომეგობრული ჭკვიანი თევზის ფერმა“ შემქმნელი გუნდი დაჯილდოვდა 10 000 ლარით, პირველ ადგილზე გასული პროექტის „წყლის ნავთობისაგან გამწმენდი უპილოტო ნავი“ ავტორებმა მიიღეს 5000 ლარი, მეორე ადგილზე გასული პროექტის „კოსმოსური დანიშნულების V კლასის მემბრანული კინემატიკური წყვილების დამზადების ტექნოლოგია“ ავტორებს 3000 ლარი, ხოლო მესამე ადგილზე გასული პროექტის „THE TATMAN“ შემქმნელ გუნდს – 2000 ლარი გადაეცა.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის კონკურსის ფარგლებში ფინალურ ეტაპზე ჯამში 19 ინოვაციური პროექტი გადავიდა. კონკურსში მონაწილეობა საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების VII-XII კლასების მოსწავლეებმა მიიღეს.

დაჯილდოების ცერემონიაზე მეცნიერებაში შეტანილი განსაკუთრებული მიღწევებისა და წვლილისათვის პრიზებში და სიგელები გადაეცათ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2024 წლის პრემიის ლაურეატ მეცნიერებს. ესენი არიან:

• **დავით შინგალია** – გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის პეტროლოგიის, მინერალოგიისა და ლითოლოგიის განყოფილების გამგე.

• **ელენე მაჭავარიანი** – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელოვნებათმცოდნეობის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

• **ოთარ გამყრელიძე** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

• **ნოდარ კახიძე** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

პრემიით ასევე დაჯილდოვდნენ სამეცნიერო პროექტებსა და პროგრამებში აქტიურად ჩართული ახალგაზრდა მკვლევრები და მეცნიერები.

• **ქეთევან კანკავა** – მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტი.

• **ლარი თაყაიძე** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი.

• **ლევან ტიფლიძე** – გეოგრაფიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

• **ირაკლი ლომიძე** – ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვანტური ფიზიკის და საინჟინრო ტექნოლოგიების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

• **ნინო ფოჩხიძე** – ბიოლოგიის დოქტორი, ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი.

• **ელისაბედ ზალდასტანიშვილი** – ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, გიორგი ელიაშვილის სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი.

ამასთან, ერთ-ერთი ინოვაციური პროექტის მონაწილეებს გადაეცათ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ და სხვა სპეციალური პრიზები. მეცნიერების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მონაწილეებს ასევე სიტყვით მიმართეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა თეიმურაზ დოჭვირმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ჯაბა სამუშიამ.

დაჯილდოებას ესწრებოდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი დავით გურგენიძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი ირაკლი ნატროშვილი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი როინ მეტრეველი, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის თავმჯდომარე სოსო გორგაძე და საქართველოს ბიზნეს ასოციაციის პრეზიდენტი სოსო ფხაკაძე.

მეცნიერების საერთაშორისო დღე გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია „იუნესკოს“ მიერ 2001 წელს დაფუძნდა. ამ დღის მიზანია მეცნიერების მნიშვნელობის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და აქტუალური სამეცნიერო საკითხების განხილვაში საზოგადოების ჩართვის ხელშეწყობა.

თბილისის უნივერსიტეტი

მთავარი რედაქტორი  
ნინო კაკულია  
მთავარი სამცხალისტი  
მაია ტორაძე  
ტექნიკური რედაქტორი  
ირმა სულიაშვილი


შუამდგომლობა:  
თამარ დადიანი  
შურთხია ბეროშვილი

ფოტოკორესპონდენტი  
გიზო ყუფარაძე  
კომპ. უზრუნველყოფა  
მიხეილ თვარაძე

რედაქციის წევრები:  
მანანა შამილიშვილი,  
იაგო კაჭკაჭიშვილი,  
ირმა რატიანი,  
ირინე დარჩია,  
თინათინ ბოლქვაძე,  
ვლადიმერ პაპავა,  
ეთერ ხარაიშვილი,  
რევაზ გველესიანი,  
ეკატერინე ფირცხალავა,  
ნინო განჩილაძე,  
თემურ ნადარეიშვილი,  
ლელა ჯანაშვილი,  
მაია ივანიძე,  
მამუკა მარგველაშვილი,  
გია ლობჯანიძე,  
ნინო უგრეხელიძე

მისამართი:  
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11<sup>ა</sup>  
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)  
☎ 577 52 77 73

ვებგვერდი:  
gazeti.tsu.ge  
ელ.ფოსტა:  
nino.kakulia@tsu.ge



gazeti.tsu.ge  
გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ თვეში ერთხელ გადის სახით გამოცემა.

ახალი ყოველდღიური ჩვენს ვებ-გვერდს  
gazeti.tsu.ge

მოგვარდეთ ინფორმაცია გასაუქმებლად და გაეცანით საუნივერსიტეტო სინხლაზს

